საგამოძიებო ჟურნალისტიკის გზამკვლევი

ექვსი ქართული ჟურნალისტური გამოძიების ამბავი

ავტორები:

აიდან იუსიფი
ნინო რამიშვილი
გიორგი ჩადუნელი
სოფო გელავა
ლაშა კვესელაძე

წინასიტყვაობა:

ნინო გელაშვილი

რედაქტორი:

ანა გვარიშვილი

მასალა მომზადებულია UNESCO IPDC-ის მხარდაჭერით

პირველი ქართული საგამოძიებო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოს შექმნაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობას ვუხდით საგამოძიებო მედია ლაბის (IML) ექსპერტებს, პროფესორ მარკ ლი ჰანთერს, ოლეგ ხომენოკსა და ჰენრიკ გრუნეტს.

ამ პუბლიკაციაში გამოყენებული ტერმინები და მასალები არ გამოხატავს UNESCO-ს მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის, ქალაქის ან გეოგრაფიული ადგილის ან მათი მთავრობების სამართლებრივ მდგომარეობაზე და მათი საზღვრების მდგომარეობასა და დელიმიტაციაზე. ავტორები პასუხისმგებლები არიან ამ პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების შეგროვებასა და მკითხველისთვის წარდგენაზე, აგრეთვე, მასში გამოხატულ მოსაზრებებზე, რომლებსაც UNESCO, შესაძლოა, არ იზიარებდეს და ამ ორგანიზანიზაციას არ შეიძლება მიეწეროს.

The terms used and the presentation of the material in this publication do not imply the expression of any opinions by UNESCO on the legal condition of any country, city or area, or their governments, or on the delimitation of their borders or limits. The authors are responsible for the selection and presentation of the data contained in this publication, and the opinions expressed therein, which are not necessarily the opinions of UNESCO and do not implicate the organization.

INVESTIGATIVE MEDIA LAB

საქართველოს უნივერსიტეტი
UNIVERSITY OF GEORGIA

სარჩევი

წინასიტყვაობა.....4

28 მილიონის საქმე.....9

როგორ გამოვიძიეთ არაავთენტიკური ქსელი ფეისბუქზე.....15

შპს „მაქს-ბეთი“ - კომპანია, რომლის 100%-იან წილს კალაძე ფლობს, თუმცა, ის ვიცე-პრემიერის დეკლარაციებში არ ჩანს.....20

გარიგებული თამაშები საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში.....30

დუზაგრამას ოლიგარქი ანუ როგორ დაეპატრონა მერის წარმომადგენელი სოფლის მიწებს.....37

ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილის საეჭვო საქმეები.....45

წინასიტყვაობა

ნინო გელაშვილი ჟურნალისტი
ჩემი გამომძიებელი კოლეგები

ამ ქვეყანაში არ ყოფილა ხელისუფლება, რომელმაც ბიუჯეტის ახლოს ყოფნის ან ძალაუფლებაში ყოფნის ცდუნებას გაუძლო. რატომაც არა: ფული შენს ხელშია, ძალაუფლების ბერკეტები შენს ხელშია, ინსტიტუტები, რომლებმაც სწორედ შენი ძალაუფლება უნდა დააბალანსოს, შენს ხელშია... ვეღარ უმკლავდება ადამიანი საცდურს, უნდება ძალაუფლებაში ყოფნის დრო საკუთარ გამდიდრებას მოახმაროს - ბრიყვი ხომ არ არის, ასეთი შანსი ხელიდან გაუშვას? ცხადია, იცის, არ უნდა გაუხმაურდეს, არავინ უნდა დაარქვას მის საქციელს ქურდობა, დანაშაული, ძალადობა... და ყველაფერს იღონებს, რომ არ დაისაჯოს... მაგრამ, იმავე ქვეყანაში მყოფმა მეორე ადამიანმა რა ქნას? მესამემ? მეოთხემ?.. ეს ხომ მათი ინტერესების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხარჯზე ხდება?.. ზოგიერთი უკანონობა და დანაშაული მთელი ქვეყნის ინტერესების და მისი ბედის დამაზიანებლადაც იქცევა. რა ქნას ადამიანმა, თუკი აღმოჩნდება ვითარებაში, სადაც ისინი, ვისაც მისი დაცვა და მსახურება ევალება, ერთი რომელიმე ჯგუფის ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურებიან და მას - მოქალაქეს ღირებულებად არ აღიქვამენ?

არ არსებობს გარემო, განვითარებული დემოკრატიაც კი, სადაც იმდენად აბსოლუტურად იქნებოდა დაცული ადამიანი, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ძალაუფლების წნეხთან გასამკლავებლად არ იყვნენ საჭირო გამომძიებელი ჟურნალისტები - პროფესიონალები, რომლებსაც ზოგს პირადად, ზოგსაც მათი საქმით ვიცნობ და რომლებიც ჩემთვის გამორჩეული ადამიანები არიან: გამჭრიახები, მამაცები და ჯიუტები - სიმართლის ძიებაში გაჯიუტებულები. ეძებენ, იძიებენ, ჩხრეკენ, ალაგებენ, ისევ იძიებენ, ისევ და ისევ - თავისი დროის, ენერგიის, უსაფრთხოებისა და ზოგჯერ - სიცოცხლის ფასადაც კი. როგორც წესი, ამას აკეთებენ მშვიდად, ცოდნით და თავდაუზოგავად.

ფული და ძალაუფლება - ადამიანის მარადიული გამოცდა, რომელსაც მცირენი უძლებენ. ბევრს ხიბლავს სხვაზე უპირატესობა მოიპოვოს და მისი უფლებების უგულებელყოფით, უკანონოდ გაიმყაროს ძალაუფლება. ამაში ხედავენ საკუთარ უსაფრთხოე-

ბას, ასე გრძნობენ თავს დაცულად. რა ქნას მან, ვინც ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ ან უკვე მსხვერპლია, ან საფრთხე ემუქრება.

გასულ ზაფხულს ერთ კონფერენციაზე აღმოვჩნდი - საგამოძიებო ჟურნალისტიკას ეხებოდა. ვისხედით ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები შენობის მიწისქვეშა სივრცეში. „რუსული კანონი" ერთი თვის მიღებული იყო. ჩემი კოლეგების უმრავლესობა გამომძიებელი ჟურნალისტები იყვნენ, რომლებსაც, ასე მგონია, მთელი ცხოვრებაა ვიცნობ და რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში მუშაობენ ერთნაირი შემართებით, ერთგულებით, პროფესიონალიზმით და რწმენით, რომ ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებენ. ისინი ყველა დროში არიან თავდასხმისა და შევიწროების სამიზნეები. ეგაა, რომ არ შინდებიან, არ ნებდებიან - აბა, თუ დანებდნენ, რისთვისღა აკეთეს ის, რაც აკეთეს? იქ მსხდომთაგან მინიმუმ ორი სულ ცოტა ხნის წინ ორგანიზებული, დამამცირებელ-პოსტერებ-მომარჯვებული და ჯიბეში საღებავ-დამარაგებული, „სპონტანურად" აღშფოთებული და „გამჭვირვალობას მოწყურებული" მოქალაქეების თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდა, არც მათი ოჯახის წევრები დაივიწყეს, დაშინების ეფექტის გასამძაფრებლად. სინამდვილეში, კიდევ უფრო დაარწმუნეს თავიანთი გზის სისწორესა და... სირთულეშიც.

ყოველთვის აღმაფრთოვანებდა ჩემი გამომძიებელი კოლეგების საქმე, ვგულშემატკივრობდი მათ და მინდოდა უსაფრთხოდ, მინიმალური შეცდომებით და მინიმალური მარცხით ევლოთ, რადგან ის, რაც მათ არ ასვენებთ და გზის გაგრძელების ძალას აძლევს: უსამართლობა, ადამიანის ჩაგვრა, ქვეყნის მომავლის „გამოჭმა", უსინდისობა და ბოროტებაა.

იმ კონფერენციაზე, მიწისქვეშა სართულზე ყოფნისას, რაღაც ხნის შემდეგ გავიაზრე, რომ ეს სწორედ ის სივრცე იყო, სადაც 32 წლის წინ, ზამთრის ერთ ღამეს, ვიდექი გაყინულ სტამბაში, 20 წლის სტუდენტი-სტაჟიორი, ჩემს, უკვე დამეგობრებულ, გამოცდილ კოლეგებთან ერთად და გაზეთების გვერდებს (მთელ ტირაჟს) ხელით ვაწყობდით ერთმანეთში. იმ დროს სულ რამდენიმე წლის შექმნილი რამდენიმე დამოუკიდებელი გაზეთის ყოველი ნომრიდან ნომრამდე მუდმივი თავის ტკივილი იყო ქაღალდის შოვნა - ხან რა ზომისას იშოვნიდა რედაქტორი, ხან რა. ხან ერთ სტამბას არ ერგებოდა, ხან მეორეს და ხანაც, ისე იბეჭდებოდა, რომ მანქანა გვერდებს ერთმანეთში ვერ აწყობდა. აი,

მანდ ჩნდებოდა მანქანის ხელით შრომით ჩანაცვლების საჭიროება. ჰოდა, იმ გაყინულ სტამბაში დგომისას, როცა, ყველაფრის მიუხედავად, ხალისიანად, ხუმრობა-ხუმრობით ვაშრიალებდით მთელ ტირაჟს, ზუსტად ვიცოდით, რომ ჩვენი იქ ყოფნა იმად ღირდა, რომ დილით გაზეთის მორიგი ნომერი ყოფილიყო დახლებზე. მაშინ, იმ 1990-იანების დასაწყისში ვინმეს რომ ეთქვა, 30 წლის შემდეგ დამოუკიდებელ მედიას „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლებს“ დაარქმევდა რომელიღაცა ხელისუფლება, ზუსტად ვიცი - ძალიან დავცინებდით. აი, იმ დროშიც კი დავცინებდით: სიბნელე, სიცივე, უსახსრობა რომ ჭამდა ამ ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრებას და ავტომატის ხმა ჩვეულ ფონურ ხმაურად რომ აღიქმებოდა ქუჩაში... არადა, ვისხედით აგერ უკვე 2024 წლის ზაფხულში იმავე სარდაფში და სწორედ იმაზე ვმსჯელობდით, რა საფრთხეში აღმოჩნდა ქვეყანა და მისი სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე დამოუკიდებელი და ვიტყოდი, დემოკრატიის იდეის ერთგული ნაწილი.

საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მუშაობა არჩევანი არ არის, რადგან მას ირჩევენ ისინი, ვისაც სჯერა, რომ სხვა არჩევანი არ გააჩნია: სხვა თვალი აქვთ, სხვა აზროვნება, ჩხრეკის სხვა ჟინი. იციან, რომ იშვიათ საქმეს აკეთებენ და ეს საქმე ადამიანის ბედს, უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს, მისთვის სამართლისკენ გზის გაკვალვას ეხება. თან უნდა გამოიძიოს, თან ადამიანი (წყარო, უსამართლობის მსხვერპლი ან სისტემიდან ამბის გამომტანი) არ დააზიანოს, თან კანონს არ გასცდეს, თან იმათ დაგებულ მახეებს ან წინაღობებს გაუმკლავდეს, რასაც ძალაუფლების მქონენი უგებენ, თან ეთიკა არ დაარღვიოს, თან დროზე ადრე არ „გაუსკდეს“ ამბავი და... ბოლოს მოუყვეს საზოგადოებას ის, რაც მან აქამდე არ იცოდა, მის გარეშე ვერც ეცოდინებოდა და რისი ცოდნაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რისი გასაჯაროებაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, როგორც მისი მომავლის საძირკველში დადებული კიდევ ერთი შესაძლოა ზოგჯერ მცირე, მაგრამ - მყარი ქვა.

იდეალურ შემთხვევაში, სახელმწიფოში, სადაც ინსტიტუტები ადამიანისთვის მუშაობს, გამომძიებელი ჟურნალისტის ნაკვლევსა და აღმოჩენილს ენთუზიაზმით უნდა იტაცებდნენ სამართალდამცავი ორგანოები და მართლმსაჯულების აღსრულებას ახმარდნენ. იდეალურისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ, მეტიც - ამ ეტაპზე საქართველო დიდი სისწრაფით შორდება ისეთ

სახელმწიფოდ ქცევას, სადაც ერთი ადამიანი და მისი უფლებები, მისი ბედნიერება იქნებოდა მთავარი ღირებულება.

ჟურნალისტები, ზოგადად, და კიდევ უფრო მეტად გამომძიებელი, ჟურნალისტები ის ხალხი არაა, რაიმე ვითარებაში ხელები ჩამოუშვან. საფრთხის ზრდის კვალობაზე, ისინი კიდევ უფრო მართალ, გამართულ და სწორ გზებს პოულობენ სიმართლესთან მისასვლელად.

ბევრი ფიქრობს მათზე: როგორ არ ეშინიათ? ამ შეკითხვას იმაზე უკეთეს პასუხს ვერ გავცემ, ვიდრე ცნობილმა ფილიპინელმა გამომძიებელმა ჟურნალისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მარია რესამ უთხრა ინტერვიუში რადიო თავისუფლებაში ჩემს კოლეგა ეკა ქევანიშვილს:

- რა არის თქვენი სუპერძალა, რომელიც გეხმარებათ, ბრძოლა გააგრძელოთ, დარჩეთ ქვეყანაში და არ გეშინოდეთ? ან, არ ვიცი, იქნებ გეშინიათ კიდეც?

მარია რესა: ყოველთვის გეშინია. ვინ იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ საკუთარი ნებით? არავინ. იაპონელებს აქვთ დაახლოებით ასეთი ფრაზა: ჩაქუჩი იმ ლურსმანს აჭედებს, რომელიც ყველაზე მაღლაა ამოწეული, თუ ადგები, შენც ჩაქუჩი მოგხვდება. რაც ნიშნავს, რომ ზედმეტად განსხვავებულები ისჯებიან - ვის მოუნდება ეს? ... შიში ნორმალურია. მთავარია, რას გააკეთებ მას შემდეგ, რაც ამ შიშს იგრძნობ“.

ხო, მთავარია, რას გააკეთებ, როგორ გააგრძელებ, როგორ არ გაჩერდები...



28 მილიონის საქმე

2021 წლის შემოდგომაზე გავრცელებულ ე.წ. „სუს-ის“ ფაილებში მოთხრობილია, რომ რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, ვინმე „მანუჩარი“, ზესტაფონელი შუამავლის მეშვეობით ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის რამდენიმე სასულიერო პირს დაუკავშირდა და ფულის რუსეთიდან გადმორიცხვაში დახმარება სთხოვა. მანუჩარის მიზანი ოცდარვა მილიონი (€ 28 000 000) ევროს რუსეთიდან საქართველოში მაკონტროლებელი უწყებებისგან ფარულად გადმორიცხვა იყო.

გავრცელებული ფაილების მიხედვით, გამოიკვეთა შემდეგი სქემა: პირველ ეტაპზე მოსკოვიდან ნახევარი მილიონი ამერიკული დოლარი უნდა გადმორიცხულიყო, საიდანაც 10%-ს მღვდელმთავარი გიორგი (გური) შალამბერიძე და მისი თანაშემწე იოანე (ლევან) რევიშვილი გაინაწილებდნენ, ხოლო 20%-ს ისაია ცეცხლაძე და კიდევ 2 შუამავალი. ამ სქემამ არ გაამართლა. შესაბამისად, მიზნის მიღწევას მოქმედი პირები სხვა ხერხებითაც ცდილობდნენ.

გადამოწმების შედეგად გაირკვა რომ მოქმედი პირები რეალური ადამიანები არიან. მეტიც, აღწერილიდან (მაგ. შეხვედრები) ბევრი რამ სიმართლე აღმოჩნდა. ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მართლაც იყო რუსეთიდან ფულის გათეთრების მცდელობა.

როგორ ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიება?

გიორგი ჩადუნელი

2021 წლის 12 სექტემბერს, გვიან ღამით, მედიებმა ელექტრონულ ელფოსტებზე მიიღეს საეჭვო ვებგვერდის ბმული, რომელზეც განთავსებული იყო ჩამოსატვირთად გამზადებული ათასობით დოკუმენტი: ტექსტური ფაილები, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ფოტომასალა. ამ ათასობით დოკუმენტს აერთიანებდა ის, რომ დიდი ნაწილი ეხებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს. თუმცა, მოიხსენიებოდნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილი სხვა პირებიც.

25 გიგაბაიტზე მეტის მოცულობის მასალა დღეს „სუს-ის ფაილებად“ არის ცნობილი. მანამდე არაერთ ქართველ გამომძიებელ ჟურნალისტს უმუშავია WikiLeaks-ის, თუ Panama Papers-ის გამოძიებებზე. ესეც ამის მსგავსი იყო, უბრალოდ, ადგილობრივი მასშტაბის, რაც სულაც არ იყო ნაკლებად საინტერესო, მინიმუმ, იმიტომ, რომ უპრეცედენტო მოვლენა იყო. შესაბამისად, საქართველოში არ დარჩა თავმოყვარე გამომძიებელი ჟურნა-

ლისტი, რომელიც არ ცდილობდა მასალების ამ ნიაღვარში საინტერესო ამბის პოვნას. მათ შორის მონაცემთა ჟურნალისტურად დამუშავების ცენტრიც (JDPC) იყო.

ფაილები მოიცავდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, მიმოწერას სოციალურ ქსელებში, შეხვედრების აღწერას და მათი მიმდინარეობისას გაჟღერებულ, ერთგვარ დოსიეებს სხვადასხვა პირზე. სავარაუდოდ, ამ ყველაფერს სახელმწიფო უსაფთხოების სამსახური წლების განმავლობაში აარქივებდა. სწორედ ამ მასალის ანალიზისა და დახარისხებისას გამოიკვეთა გარკვეული სქემა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია.

გარკვეული ჯგუფი რუსეთიდან მილიონობით ევროს საქართველოში გადმორიცხვას რელიგიური საქველმოქმედო ფონდების გამოყენებით ცდილობდა. თანაც მაშინ, როდესაც ყირიმის ანექსიის შედეგად, რუსეთს პირველად დაუწესდა სანქციები. ამ კონტექსტმა ისედაც მნიშვნელოვან ამბავს კიდევ უფრო მეტი წონა შესძინა.

საბუთებში აღწერილი მოვლენებიდან და სუს-ის სავარაუდო თანამშრომლების მიმოწერიდან გამომდინარე, ვვარაუდობდით, რომ რელიგიურ ფონდებს ფულის გასათეთრებლად იყენებდნენ. ვერსიის გადამოწმებას თავდაპირველად სხვადასხვა ღია წყაროს (საჯარო რეესტრის ამონაწერები, სოციალური ქსელები, ამომრჩეველთა ბაზა, საშემოსავლო სამსახურის რეესტრი და სხვა) გამოყენებით შევეცადეთ. ვიპოვეთ იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების არსებობის დასაბუთება და დავადგინეთ მათ შორის კავშირები. ამის შემდეგ, უნდა აღგვედგინა სურათი სუს-ის ფაილების მიხედვით.

არეულობის თავიდან აცილებისა და მუშაობის გამარტივებისთვის, თითოეულ ფაილს მივანიჭეთ სახელი, რომელიც მიუთითებდა, რა იყო აღწერილი კონკრეტულ ელექტრონულ დოკუმენტში და როდის მოხდა კონკრეტული მოვლენა ამ ფაილის მიხედვით. შევქმენით მოვლენათა ქრონოლოგია.

ჩვენი შემდეგი ნაბიჯი იყო იმ ჰიპოთეზის გადამოწმება, რომლის მიხედვითაც საქართველოში ხდებოდა რუსული ფულის გათეთრება. მართალია ე.წ. სუს-ის ფაილების წაკითხვიდან ამ დასკვნის გამოტანა ლოგიკური იყო (თავად სუს-ის სავარაუდო თანამშრომლები არაერთხელ ახსენებდნენ ფრაზას „ფულის გათეთრება“), მაგრამ სულაც არ იყო გამორიცხული, რომ სინამდვილეში ასე არ ყოფილიყო. ფაილების წარმომავლობა ბუნდოვანი იყო, მათი ავთენტიკურობა კი - საეჭვო.

ამის გამო, დავუკავშირდით ერთ-ერთ ავტორიტეტულ ფინანსისტს. მას დეტალურად მოვუყევით ჩვენს აღმოჩენებზე. მიზანი იყო, დაგვედგინა ღირდა, თუ არა ამ ამბის ძიების გაგრძელება. ასევე, გვსურდა, გაგვეგო, მისი აზრით, რასთან გვქონდა საქმე. ფინანსისტმა დაგვიდასტურა, რომ ეს საქმე შეიცავდა ფულის გათეთრების ნიშნებს.

„28 მილიონის გადარიცხვაზე თუა ლაპარაკი, როგორც, წესი ასეთი თანხის საპირისპიროდ, ან უნდა შეისყიდოს ვიღაცამ, ან სერვისი, ან პროდუქტი, ან შესაძლოა სესხის ფორმა ჰქონდეს. მაგრამ, თქვენ რაც მანახეთ, იმის საფუძველზე, ლაპარაკია იმაზე, რომ ძალიან დიდი თანხები გადაირიცხება რუსეთის რაღაც ანგარიშიდან ქართულ ანგარიშზე და მერე ამის 70% ისევ ბრუნდება სადღაც. ეს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვო გარიგებას ჰგავს“, - აღნიშნა ექსპერტმა.

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ამბავი გადაგვემოწმებინა ყველა მოქმედ პირთან. ეს ჟურნალისტური გამოძიება არამარტო ამ კონკრეტულ საეჭვო სქემას ეხებოდა, არამედ ზოგადად ე.წ. სუს-ის ფაილებისა და მათში აღწერილი მოვლენების ნამდვილობის დადასტურების მცდლეობა იყო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გავრცელების პირველი დღიდანვე არ აღიარებდა მათ ავთენტიკურობას. მეტიც, გამოძიება „სუს-ის ფაილების საქმეზე“ დაიწყო, მაგრამ ბოლომდე არავის მიუყვანია (დღემდე).

თავიდანვე გამოიკვეთა ორი რისკი. იქიდან გამომდინარე რომ ეს მასალა იყო სადავო, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ვერ მოვახერხებდით ინტერვიუზე აუცილებელი რესპონდენტების დათანხმებას. გარდა ამისა, 2021 წელს გავრცელებულ ფაილებში 6-7 წლით ადრე მომხდარი მოვლენები იყო აღწერილი, რაც ართულებდა თუნდაც მოქმედი პირების მიგნებას. ამავე დროს იყო კიდევ ერთი საფრთხე: - ფაილების ხასიათიდან გამომდინარე ჩვენ წინააღმდეგ შესაძლო იურიდიული დავა.

გარდა რისკებისა, არსებობდა ტექნიკური ხასიათის სირთულეებიც. მთავარი მოქმედი პირი, რომელიც აპირებდა ფულის საქართველოში გადმორიცხვას, იყო რუსეთში. მისი პოვნა თუ შეუძლებელი არა, ძალიან რთული იქნებოდა. მთელი საქმე ეხება ფინანსურ ტრანზაქციებს, რომელიც არცერთ ღია წყაროში არ ფიქსირდება და მათი მოპოვება არის შეუძლებელი. გარდა ამისა, საქართველოში ეკლესია არაა ვალდებული წარმოადგინოს არათუ ფინანსური ოპერაციების დამადასტურებელი საბუთები, არამედ ნებისმიერი სხვა სახის საბუთი. მეტიც, მათ, სახელმწიფო სტრუქტურისგან

განსხვავებით, ანგარიშვალდებულება არ აქვთ. ამის მიუხედავად, ეს არის ისტიტუტი, რომელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სრული ნდობით სარგებლობს. ყოველ შემთვევაში ამაზე მიუთითებს სხვადასხვა კვლევა. შედეგად, კოლეგებთან აზრთა გაცვლის შემდეგ, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეს გამოძიება ნაკლებად შესაძლებელი იყო. ამის მიუხედავად, გადავწყვიტეთ ამ საქმეს ბოლომდე მივყოლოდით.

ამ დროისთვის ექსელში უკვე აწყობილი გვქონდა ქრონოლოგია, სადაც თითოეული მოვლენა ბმულით უკავშირდებოდა შესაბამის ფაილს. ფაილებში გადმოცემული იყო სხვადასხვა მოლაპარაკებების შინაარსი. ცალკე ავაწყვეთ გადარიცხვების მცდელობების რეესტრი, რომელიც უშუალოდ გადმორიცხვების მცდელობებს აღწერდა. პარალელურად ხდებოდა პირველადი ძიების შედეგად ღია წყაროებიდან მოპოვებული მასალის გაღრმავება: სოციალურ ქსელებში მონიტორინგის წყალობით მოპოვებული ფოტოები, რომლებიც ავლენდა კავშირებს ზოგიერთ მოქმედ პირს შორის, საჯარო რეესტრის საბუთები (მაგალითად, ფონდების რეგისტრაციის ამონაწერები, რომელიც მოგვიანებით წარვუდგინეთ ჩვენს მთავარ რესპონდენტებს, წყალტუბოს ეპარქიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს) და სხვა.

სტატიაზე ვმუშაობდით სამი ჟურნალისტი. შესაბამისად, თითოეულმა დავწერეთ სტატიის კონკრეტული ეპიზოდი, შემდეგ კი ერთობლივად დავარედაქტირეთ ის. სტატია იწერებოდა გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად და ბევრმა მიგნებამ თუ ინტერვიუმ მის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. მაგალითად, როდესაც ლაშა კვესელაძემ ჩაწერა წყალტუბოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, გადაწყდა, რომ სტატია სწორედ ამ ეპიზოდით დაიწყებოდა.

ამ სტატიაზე მუშაობისას, მიუხედავად ფაილების ხასიათიდან გამომდინარე მოსალოდნელი სირთულეებისა, გასაუბრება მოვახერხეთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ იმ პირების უმრავლესობასთან, ვინც საჭირო რესპონდენტად მიგვაჩნდა: ფონდების ხელმძღვანელებთან, ფინანსურ მენეჯერთან, ეპარქიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირებთან. მიზეზი, რის გამოც ისინი მონაცემთა ჟურნალისტურად დამუშავების ცენტრთან (JDPC) საუბარს დათანხმდნენ, იყო ის, რომ ჩვენ თავიდანვე ავუხსენით, რომ მიზანი იყო გავრცელებულ ფაილებში აღწერილი მოვლენების გადამოწმება და რეალური სურათის დადგენა. ასევე მათთან მოლაპარაკებების

თითოეულ ეტაპზე ღიად ვუყვებოდით მოპოვებული საბუთებისა და სხვა ინფორმაციის შესახებ. შედეგად, გარდა უბრალოდ საუბრისა, ჩავწერეთ ინტერვიუები მათ უმრავლესობასთან.

სტატიის გამოქვეყნებამდე მისი თითოეული ნაწილი განვიხილეთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე იურისტთან ნებისმიერი იურიდიული დავის თავიდან ასაცილებლად.

სავარჯიშოები:

1. მოძებნეთ და აირჩიეთ რელიგიური ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია (მაგ.: საქველმოქმედო ფონდი, შპს, ააიპ ან სხვა). დაადგინეთ კავშირები და შეადგინეთ ამ კავშირების რუკა. აღწერეთ ამ ორგანიზაციის საქმიანობა (რა არის მათი შესრულებული ან მიმდინარე პროექტები)?

2. იმსჯელეთ მოცემული სტატიის ძლიერ და სუსტ მხარეებზე: რას გააკეთებდით განსხვავებულად? რას შემატებდით ამ სტატიას?

3. რა შეიძლება იყოს ამ სტატიის გაგრძელება (follow up), მოძებნეთ და აღწერეთ მისი კუთხე?

4. მოძებნეთ ფულის გათეთრების რომელიმე გახმაურებული საქმე: ერთ გვერდზე აღწერეთ რა მოხდა? როგორ?

მთავრობის სტრატკომთან დაკავშირებული არაავთენტური ქსელი ფეისბუქზე

მასალის ავტორები: სოფო გელავა და ეთო ბუზიაშვილი

2023 წლის 3 მაისს მეტამ მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან დაკავშირებული არაავთენტიკური ქსელი წაშალა. ქსელი ფეისბუქზე მართავდა 117-მდე ანგარიშს (გვერდს, ჯგუფს და პერსონალურ ანგარიშს) და იყენებდა ყალბ ანგარიშებს, რათა პროსახელისუფლებო შინაარსის პოსტები იმაზე პოპულარულად წარმოეჩინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მეტას განცხადებით, არაავთენტური ქსელი „აკრიტიკებდა ოპოზიციას, განსაკუთრებით კი სახალხო პროტესტის დროს, რაც „უცხოური აგენტების“ კანონპროექტს მოჰყვა... ეს ოპერაცია პროტესტს რეალურ დროში პასუხობდა, მათ შორის, პოსტებითა და აქტივობით ღამის საათებში“.

ქსელმა ამ ოპერაციის ფარგლებში რეკლამისთვის $33 500 დახარჯა, რათა ფეისბუქზე უფრო დიდ აუდიტორიას მისწვდომოდა.

სატელევიზიო და ონლაინ მედიის მიერ საკითხის მასშტაბური გაშუქების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას არაავთენტიკური ქსელის საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

როგორ გამოვიძიეთ არაავთენტიკური ქსელი ფეისბუქზე

სოფო გელავა

არაავთენტიკური ქსელის გამოძიება დაიწყო ჩვენი ორგანიზაციის, „ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიებების ლაბორატორიის“, რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში, როდესაც 2022 წლის თებერვალში, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მალე-ვე, ფეისბუქზე საეჭვო გვერდებსა და ჯგუფებს მივაგენით. ისინი ხელი-სუფლების მხარდამჭერ პოსტებს აზიარებდნენ და ამავდროულად ავრცელებდნენ ნარატივს, რომ დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა და ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა სურდა. ეს ნარა-ტივი თანხვედრაში მოდიოდა ხელისუფლების იმდროინდელ განცხადებებთან და ჩვენ მიერ აღმოჩენილი გვერდები და ჯგუფები ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ წევრების ამ განცხადებებს კოორდინირებულად აზიარებდნენ. ამ ანგარიშების აღმოჩენის შემდეგ ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა იყო, რომ ამ საეჭვო ანგარიშებს მთავრობის სტრატკომთან დაკავშირებული პირები მართავდნენ. ამ ჰიპოთეზის გასამყარებლად გავაგრძელეთ იდენტიფიცრებულ ანგარიშებთან დაკავშირებული კიდევ დამატებითი ანგარიშების ძებნა, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ საქმე გვქონდა არა ცალკეულ აქტივობასთან, არამედ კოორდინირებულ არაავ-თენტიკურ ქცევასთან, რომლის უკანაც მთავრობის სტრატკომი იდგა.

მნიშვნელოვანი ტერმინები

კოორდინირებული არაავთენტური ქცევა - მეტას ფეისბუქის პლატფორმაზე არაავთენტურია ქცევა, რომელშიც გამოყენებულია ყალბი ანგარიშები და მომხმარებლები ან თავად პლატ-ფორმა შეცდომაში შეჰყავს საკუთარი იდენტობის, პოპულარობის, მიზნისა და წარმომავლობის შესახებ. ასეთი ქცევა კოორდინირებულია, როდესაც მრავალი ანგარიში ერთო-ბლივად მოქმედებს ფეისბუქის მომხმარებლების მოტყუების მიზნით.

ყალბი ანგარიში - ფეისბუქ ანგა-რიშები, რომლებიც ავლენენ არაავთენტურობის/სიყალბის ნიშნებს. ეს ნიშნებია: მოპარული ფოტო ინტერ-ნეტიდან, სხვისი იდენტობის მითვისება, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენე-რირებული სახეების გამოყენება, ხშირად ცარიელი თაიმლაინი, კონკრე-ტული დღის წესრიგის (პოლიტიკური პარტიის, საიტების ბმულების) გაზიარება და სხვა.

არაავთენტიკური ქსელების გამოძიე-ბისას მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ფეისბუქ გვერდებს, ჯგუფებსა და პერსონალურ ანგარიშებს შორის კავშირები და მოქმედებენ თუ არა

ისინი ერთობლივად ერთი მიზნისთვის. ერთობილივი მოქმედების ნიშნებია იდენტიფიცირებული ანგარიშების მიერ ქსელში შემავალი ჯგუფების მართვა, პოსტების მოკლე დროში გადაზიარება ქსელში შემავალ ან სხვა ჯგუფებში.



მაგალითად, როგორც შემდეგ ფოტოზე ჩანს, სტრატკომის არაავთენტიკურ ქსელში შემავალ ჯგუფებს ერთი და იგივე ადმინისტრატორები ჰყავდა. ეს კი ნიშნავს, რომ ფოტოზე მოცემული ჯგუფები, ასევე ადმინისტრატორები, რომლებიც შესაძლოა, იყვნენ როგორც ფეისბუქ გვერდები, ასევე პერსონალური ანგარიშები, ერთი ქსელის ნაწილი არიან.



ჯგუფებისა და გვერდების შემოწმება ორნაირად შეგვიძლია. თუ პირველად ჩვენ გვერდს მივაგენით, გვერდის თაიმლაინზე ფუნქციების პანელზე უნდა შევამოწმოთ, მართავს თუ არა გვერდი ჯგუფს. თუ კი, შესაბამისად, გვერდი და მოცემული ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან.

ხოლო თუ ჩვენი გამოძიება ჯგუფიდან იწყება, ადმინისტრატორებისა და მოდერატორების სია შეგვიძლია ვნახოთ „People" განყოფილებიდან. ჯგუფის წევრები ავტომატურად იმავე ქსელის შემადგენელი ელემენტები არ არიან. ხშირია, როდესაც ადამიანი ისეა გაწევრიანებული ჯგუფში, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.



მთავრობის სტრატკომის ქსელისთვის ასევე დამახასიათებელი იყო პრემიერ-მინისტრის, მთავრობის წევრებისა და „ქართული ოცნების“ წევრების ანტიდასავლური განცხადებების მცირე დროში გადაზიარება ქსელში შემავალ სხვა გვერდებსა თუ ჯგუფებში. ამ ტაქტიკის მიზანი ინფორმაციის გავრცელება და მისი პოპულარულად წარმოჩენაა. გამოძიების პროცესში ჩვენ ვაკვირდებოდით პოსტების თარიღებს და ვადარებდით ქსელის სხვა ანგარიშების მიერ იდენტური პოსტების გამოქვეყნების თარიღებს და, ხშირ შემთხვევაში, ვხედავდით, რომ პოსტებს შორის დროში სხვაობა ძალიან მცირე იყო. ეს ანგარიშებს შორის კოორდინაციის კიდევ ერთი ნიშანია.

ქსელში ასევე მონაწილეობდნენ პერსონალური ანგარიშები, რომელთა უმეტესობაც ყალბი იყო. ეს ანგარიშები მართავდნენ ქსელში შემავალ ჯგუფებს (ფოტო n1) და აზიარებდნენ გვერდებზე გამოქვეყნებულ პოსტებს. ქვემოთ მოცემულია ორი სახის ყალბი ანგარიში. პირველი იპარავს სხვა ადამიანის ფოტოს ინტერნეტიდან, ხოლო მეორეს პროფილი მთლიანად ცარიელია და მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არ აქვს.



ფეისბუქზე ქსელების გამოძიებისას ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის პროცესის სტრუქტურიზება და მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზება. იმისათვის, რომ დავინახოთ ანგარიშებს შორის საერთო მახასიათებლები და კოორდინაციის ნიშნები, აუცილებელია, რომ ინფორმაცია დავახარისხოთ კვლევის პროცესშივე. მსგავსი კვლევებისას ინფორმაციის ორგანიზების საუკეთესო საშუალებაა ცხრილები (Excel, Spreadsheets, Google Docs). ცხრილები საკმაოდ გვიმარტივებს დიდი სურათის დანახვას და კოორდინაციის ელემენტების იდენტიფიცირებას. მაგა-

ლითად, ყალბი გვერდების უმეტესობა, რომლებიც მეტამ 2019 წელს „ქართული ოცნების“ არაავთენტურ ქსელს დაუკავშირა და წაშალა, 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში ერთი თვის შუალედში იყო შექმნილი. ამ ტენდენციის დანახვა შეუძლებელი იქნებოდა ცხრილებში გვერდის შექმნის თარიღის შესახებ ინფომაციის შევსების გარეშე.

საქართველოში წაშლილი ქსელების უმეტესობა პოლიტიკას ეხება. მეტამ საქართველოში 2019 წლიდან მოყოლებული წაშალა „ქართულ ოცნებასთან“, „ქართულ მარშთან“, „პატრიოტთა ალიანსთან“, „ალტ ინფოსთან“ და „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ქსელები. თუმცა, ფეისბუქზე არაავთენტიკური ქსელების გამოძიება მრავალფეროვანი თემების გარშემოა შესაძლებელი. მაგალითად, ამ მეთოდით შესაძლებელია ჯანმრთელობის შესახებ გავრცლებული დეზინფორმაციის და ფინანსური მაქინაციების კვლევაც.

სავარჯიშოები:

1. გაეცანით კვლევას მთავრობის სტრატკომის არაავთენტური ფეისბუქ ქსელის შესახებ. აქვს გამოძიებას გაგრძელების პოტენციალი? რა კუთხეს აირჩევდით ახალი გამოძიებისთვის?

2. მოიძიეთ ფიესბუქზე საეჭვო გვერდი ან ჯგუფი, გამოიკვლიეთ და შეაგროვეთ მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია მათ შესახებ. მოიკვლიეთ, მართავს თუ არა გვერდი ჯგუფებს, ვინ არიან ჯგუფის ადმინისტრატორები, ხომ არ აქვს კავშირი იდენტიფიცირებულ გვერდებს/ჯგუფებს კიდევ დამატებით გვერდებთან და ჯგუფებთან?

3. გაანალიზეთ იდენტიფიცირებლი პოტენციური ქსელი. აქვს თუ არა მას არაავთენტურობის ნიშნები?

4. რა შინაარსის ქსელია, ვის დღის წესრიგს ავრცელებს? რატომ არის ამ ქსელის კვლევა მნიშვნელოვანი?



შპს „მაქს-ბეთი“ - კომპანია,
რომლის 100%-იან წილს კალაძე
ფლობს, თუმცა, ის ვიცე-პრემიერის
დეკლარაციებში არ ჩანს

ლაშა კვესელაძე

ხშირად, დამწყებ ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ საგამოძიებო რეპორტაჟების მოსამზადებლად აუცილებელია საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც საიდუმლო წყარომ სადმე საიდუმლო ვითარებაში უნდა გადმოგცეს.

არადა, მნიშვნელოვანი ამბები ძალიან ხშირად საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, უბრალოდ, უნდა იცოდე, როგორ უნდა მოძებნო და ამოიცნო ისინი.

ჩემს შემთხვევაშიც ეს არაერთხელ მომხდარა.

2016 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი ახლადდანიშნული თანამდებობის პირების შესახებ ღია წყაროებით შეგროვებულ მასალებში აღმოვაჩინე.

ამან კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რამდენად მნიშვნელოვანია თანამდებობის პირების ზედმიწევნით, მეთოდურად შემოწმება. ასეთ სიუჟეტებს მაყურებელი ყოველთვის დიდი ინტერესით უყურებს და ყველა ხვდება ჟურნალისტიკის ძალას. როდესაც სხვა ინსტიტუციები ამას არ აკეთებენ, რჩება ჟურნალისტი, რომ გამოავლინოს ფარული ინტერესთა კონფლიქტი და პოტენციური სამართლებრივი დარღვევები საჯარო მოხელეებს შორის. გამოავლინოს სიმართლე, რომლის დამალვასაც ხელისუფლებაში მყოფები ცდილობენ.

რეპორტაჟის მომზადებისას ვცდილობდი, ნაბიჯ-ნაბიჯ ამეხსნა, რა და როგორ გავაკეთე. ასეთი მიდგომა მაყურებელში მეტ ნდობას იწვევს. ამას გარდა, რეპორტაჟებს სხვა რეპორტიორებიც უყურებენ და შეუძლიათ იგივე მეთოდი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი გადაცდომების სხვა შემთხვევების გამოსავლენადაც გამოიყენონ.

ვფიქრობ, რეპორტაჟი საინტერესოა რესპონდენტებთან ურთიერთობის დამყარების ტაქტიკის თვალსაზრისითაც.

***

ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციების შევსებისას თანამდებობის პირები, ზოგჯერ, არ უთითებენ ძველ (შევარდნაძისდროინდელ, ან უფრო ძველ) კომპანიებს – ამას იმით ამართლებენ, რომ კომპანია მიძინებულია და არ ფუნქციონირებს. ძველი კომპანიების დოკუმენტებიც ძველებურად გამოიყურება. ეს არის გაციფრულებული საქაღალდე:

ჟურნალისტმა დეკლარაციაში ასეთ „მიძინებულ კომპანიას“ გვერდი არ უნდა აუაროს. დოკუმენტები, თუ სიძველის გამო რეესტრში ატვირთული არ არის, თავად უნდა გამოითხოვოს და დეტალურად შეისწავლოს.

ჩვენს სატელევიზიო გადაცემაში, რომელიც ეთერში ყოველ კვირას გადის, ადრე რეგულარულად ვამზადებდით სიუჟეტებს თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების შესახებ.

2016 წელს სიუჟეტისთვის, რუტინულად, მინისტრთა კაბინეტის წევრების დეკლარაციებს ვამოწმებდი.

ჯერ ვნახულობდი, რა ჰქონდა მითითებული ამა თუ იმ თანამდებობის პირს, რომელ კომპანიებში ფლობდნენ ის და მისი ოჯახის წევრები წილებს და რა უძრავი ქონება იყო მათ საკუთრებაში. შემდეგ საჯარო რეესტრის საჯარო მონაცემთა ბაზებში შევდიოდი და ახლა იქ ვამოწმებდი იმავეს. თუ აღმოვაჩენდი, რომ საჯარო წყაროებში მითითებული წილები და ქონება დეკლარაციაში არ იყო ასახული, იმ დეკლარაციას, რა თქმა უნდა უფრო სიღრმისეულად ვსწავლობდი.

სწორედ ამის გამო მივაქციე ყურადღება მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის დეკლარაციას.

შევნიშნე, რომ რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული იყო კომპანია სახელწოდებით „მაქს-ბეთ“, რომლის 100%-იან წილსაც მინისტრი ფლობდა, დეკლარაციაში კი მითითებული არ ჰქონდა:



245573856	მაქს-ბეთი	კახა კალაძე	მფლობელი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01010001112, კახა კალაძე	100.0000000000%	

კანონმდებლობის მიხედვით, მინისტრი ვალდებული იყო, ვინაიდან ეს კომპანია მისი იყო, დეკლარაციაში აესახა.

საინტერესოდ ჟღერდა თავად სახელიც: "მაქს-ბეთი." **Bet** ხომ ფსონს, სანაძლეოს ნიშნავს.

საყურადღებოა, რომ კახა კალაძის ეს კომპანია 2006 წლის 23 ოქტომბერს დაფუძნდა. სპორტის კორესპონდენტებთან გადავამოწმე, რომ ამ დროს კახა კალაძე ნამდვილად

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლუბის, „მილანის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ფსონების განთავსებასთან ნებისმიერი კავშირი მკაცრად ეკრძალებოდა. ამიტომ, უცნაურად მომეჩვენა ის ფაქტი, რომ საკუთარ კომპანიას „მაქს-ბეთი“ დაარქვა.

თან ხშირად მოისმენდით დაუდასტურებელ ცნობას, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქორწინების სახლთან მდებარე ტოტალიზატორის „მაქსიმუმი“ არაფორმალური მფლობელი კახა კალაძე იყო.

რომ შევაჯამოთ, დეკლარაციის შემოწმებამ ორი საინტერესო ფაქტი მოგვცა: ვიპოვეთ დარღვევა – დაუდეკლარირებელი კომპანია და შესაძლო დარღვევა – კახა კალაძის შესაძლო კავშირი სათამაშო ბიზნესთან.

შედეგად წარმოიშვა ჰიპოთეზა:

„ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ არცერთ დეკლარაციაში არ მიუთითა საკუთარი კომპანია „მაქს-ბეთი“, რადგან ამით გამჟღავნდებოდა მისი კავშირი სათამაშო ბიზნესთან.“

ვინაიდან საგამოძიებო სიუჟეტის მოსამზადებულად დრო ძალიან ცოტა, ხუთი დღე მქონდა. მეექვსე დღეს სიუჟეტი უკვე ეთერში უნდა გასულიყო. ყველაზე რეალისტური იყო, რომ დოკუმენტების კვალს გავყოლოდი. ანუ, დაუდეკლარირებელი კომპანიის დოკუმენტაცია სწრაფად შემესწავლა.

კომპანიის დოკუმენტები საჯარო სივრცეში ატვირთული არ იყო. რადგან „მაქს-ბეთი“ ციფრული რეესტრის შექმნამდე, 2006 წელს იყო დარეგისტრირებული.

ამის გამო იუსტიციის სახლში მისვლა დამჭირდა, სადაც შესაძლებელია ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების გამოთხოვა.

დავწერე განცხადება. დაჩქარებული მომსახურებისთვის გადავიხადე 15 ლარი და იმავე დღეს დოკუმენტები საჯარო რეესტრის პორტალზე, „მაქს-ბეთის“ პროფილში აიტვირთა და დღესაც ყველასთვის ხელმისაწვდომია.



შემდეგი ეტაპი იყო ამ დოკუმენტების შესწავლა და „მაქს-ბეთის“ და ღია წყაროების დახმარებით დოკუმენ-ტებში ნახსენები პირების კავშირების სქემის შედგენა.

უძრავი ქონებისა და ბიზნესრეესტრების გარდა, ძალიან დამეხარა „სამაუწ-ყებლო კომპანია რუსთავი2-ის“ არქივი, რომელსაც ელექტრონული საძიებო სისტემა აქვს. არქივში ძებნა თავადაც შეგიძლია. თუ კადრებს ვერ მიაგნებ, ფასდაუდებელია არქივის გამოცდილი თანამშრომლების დახმარება. არქივში აღმოვაჩინე, რომ „მაქს-ბეთის“ დამფუძნებლების წინააღმდეგ რამდენიმე წლით ადრე გამოძიება იყო დაწყებული.

მუდმივად არსებობს იმის რისკი, რომ თანამდებობის პირმა, ვის შესახებაც რეპორტაჟს ამზადებ, განაცხადოს, რომ შენ ფაქტები განგებ დაამახინჯე. შესაძლოა, გიჩივლოს კიდეც.

ამიტომ, ყველაფერი მაქსიმალურად კარგად უნდა გქონდეთ შემოწმებული.

ინფორმაციის შესაგროვებლად და დასახარისხებლად მარტივი მეთოდი გამოვიყენე: კომპანიის ყველა დოკუმენტი ამოვბეჭდე და ავკინძე.

ამობეჭდილი მასალები ჩემთვის ამბის ანალიზის პროცესში უფრო მოსახერხებელია – საინტერესო ადგილებს მარკერით მონიშნავ, იქვე მიაწერ, რა რატომ არის საყურადღებო და კიდევ რა არის გასარკვევი. ამობეჭდილ მასალებს აუცილებლად დავურთავ ხოლმე ხელნაწერ სარჩევს, რომ ნავიგაცია უფრო ადვილად მოვა-ხერხო.

პარალელურად, მნიშვნელოვანი შენიშვნები გადამაქვს ელექტრონულ ფაილში.

ყველაფერს, რასაც სიუჟეტზე მუშაობისას ვპოულობ, ვაგროვებ ელექტრონულ ფოლდერში და ყველა-ფერს სათანადო სახელს ვარქმევ, რომ ყოველთვის სწრაფად მივაგნო.

„მაქს-ბეთის“ ფაილი, რომელიც ჩემ მიერ გამოთხოვის შემდეგ საჯარო რეესტრის პორტალზე გასაჯაროვდა, 64 დასკანერებული გვერდისგან შედგება.

საქაღალდეში პირველი კომპანიის წესდებაა, რომლის მიხედვითაც, „მაქს-ბეთის“ საქმიანობის საგნად საერთაშორისო საზღვაო რეისების განმახორციელებელი მცურავი სატრანსპორტო საშუალებების ბუნკირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობაა მითითებული:



თავი II

საჯარიანობის საამოსაღების ობიექტი. საამოსაღების საბაზი

მუხლი 4. საამოსაღების საბაზა

1. საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებელი საზღვაო სხისცლების, ადამიანის გადასაყვანი და ტვირთის გადასაზიდავი მცურავი საკრანსპორტო საშუალებების ბორტზე მიმდინარეობის დროებით დარჩენა განსახორციელება.
2. საერთაშორისო საზღვაო რეისებზე განსახორციელებლად ბორტზე საწვავისა და საპონი საშუალებების ამოღება.
3. საერთაშორისო საზღვაო რეისებზე განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებული საწვავისა და საპონი საშუალებების ამოღება.
4. ბუნკერებისათვის განკუთვნილი საწვავის შესანახისა და ოზოლირებული რეზერვუარების შეკეთა, მოტანილი და გამანაწილებელი, რომელებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით დაკალიბრებული და აღჭურვილი იქნება მაჩვენებლებული, მოდებული და გადაცემული პროდუქტების რაოდენობის განმსაზღვრელი ჩამრიალიფიკაციად დამოწმებული მოწმობიანებით, რომლის დაფიქსირებული პროდუქტების საბაჟო კონტროლზე ადგილის მიზნით საბაჟო ორგანოს შესაბამისი წარმომადგენელის მიერ.
5. ბუნკერებისათვის განკუთვნილი საპონი მასალების განთავსებისათვის ვარტილი შეკონა-ბაგებიანების ან ამ მიზნებისათვის სპეციალურად გამოფოფილი რეზერვუარის შეკეთა, მოტანილი და გამანაწილებელი.
6. აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ლაბორატორიის_შეკეთა და გამანაწილებელი.

2. საზოგადოება შეიძლება აწარდეს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობის, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

4. საქმიანობის, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა თვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სertifიფიკაცია), საზოგადოება წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სertifიფიკატის) მიღების შემდეგ.

„მაქს-ბეთის“ საწესდებო კაპიტალი ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იყო და გაირკვა, რომ კახა კალაძის გარდა ეს კომპანია 2006 წელს კიდევ 5-მა ადამიანმა დააარსა. მეოთხე გვერდზე მითითებული იყო თითოეული მათგანის მისამართი, პროფესია, და საწესდებო კაპიტალში რომელმა რა თანხა შეიტანა.

მეოცე გვერდი ძალიან საინტერესო დოკუმენტი აღმოჩნდა: სანოტარო აქტი მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ.



გემის ნასყიდობის ხელშეკრულება

ორიათას ექვსი წლის თებერვლის ოქტომბერს ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი-ინვესტიციური დივიდენტური ბიზნესი ბრუნვას, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგ-ში ხსენებულია როგორც „გამყიდველი“ და კახა კალაძის რეზიდენტობა ანდრო-ანონიმურობა, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მყიდველი“ ვფლობთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: "გამყიდველმა" მიაწოდა მიძრავი ...ირება, ხოლო „მყიდველმა“ იყიდა ეს ქონება, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც ნასყიდობის საგანი". ნასყიდობის საგანი წარმოადგენს ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი-... ეკუთვნილი გემი, რომლის სახელწოდებაა **"SEA PRINCE"**, გამოშვების წელი 1977 ... ანსაკუთრებული ნიშანი 4LCE.

ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია: გემის ტიპი – ტანკერი, მშენებლობის თარიღი და ადგილი – 1997 წელი, თურქეთი, სიგრძე –56,03მ., სიგანე – 9,40მ. სიღრმე – 4,23მ., *ძრავის სიმძლავრე – 650KW*.. გემის ყოფილი სახელწოდებაა "FORTUNA Russia"

დოკუმენტის მიხედვით, კახა კალაძემ ერთ-ერთ ბიზნესპარტნიორს, ანდრო ბარათაშვილს, მინდობილობა მისცა და მან„სახალხო ბანკისგან“ 120 000 აშშ დოლარად იყიდა ტანკერი სახელწოდებით "Sea Prince."



მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2007 წლის ... ოქტომბრის_ ნოიანლით.

ბ/ნ ... 17829

=5-50

ნანა ბაბურაძე

31-ე გვერდიდან შევიტყეთ, რომ ყველა კახა კალაძემ სხვა მეწილეებისგან კომპანიის წილები მთლიანად გამოისყიდა და ის „მაქს-ბეთის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა.

გვერდი 41: კახა კალაძის წარმომადგენლის, მისი მამის, კარლო კალაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ვიგებთ, რომ კახა კალაძემ აუდიტორის მიერ 500 000 აშშ დოლარად შეფასებული გემი "Sea Prince" საკუთარ კომპანიას, „მაქს-ბეთს“, 1 დოლარად გადასცა.



მე, **კახა კალაძე** (შემდგომში წოდებული როგორც „გადამცემი“), რომლის საქმიანობის ადგილია: იტალია, ქალაქი მილანი, სოფლიბერეთი „ლილანი“, მცხოვრები მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, შმიდტის ქ. №80, ბინა 31, ვაცხადებ, რომ 1,00 (ერთი) აშშ დოლარის საფასურად, რომელიც მე გადამიხადა კომპანიამ „მაქს ბეთი“, (შემდგომში „შემძენი“), და რომელი თანხის მიღებასაც წინამდებარეთ ვადასტურებ და ვადიარებ, გადავეცი მას ჩემი 100%-იანი წილი ზემოაღწერილ გემში, მისი საშუალო ნაგებისა და მოწყობილობების ჩათვლით.

ამ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რაც უნდა გამეკეთებინა, მჭირდებოდა ინტერვიუ კახა კალაძესთან და „მაქს-ბეთის“ კიდევ მინიმუმ ერთ ბიზნესპარტნიორთან.

დოკუმენტი სწრაფად შევისწავლე და მოვემზადე ინტერვიუსთვის – სამოცდაოთხივე გვერდი ამოვბეჭდე და მოვინიშნე – რომელ გვერდზე იყო მინისტრის, ან მისი მამის ხელმოწერა, რაც მის უშუალო კავშირს დაადასტურებდა კომპანიასთან.

ჩამოვაყალიბე მინისტრისთვის დასასმელი კითხვაც: რატომ არ ასახა არცერთ დეკლარაციაში „მაქს-ბეთი“ და რატომ შეარჩია კომპანიის დაარსებისას ჯერ კიდევ მოქმედმა ფეხბურთელმა სახელი, რომელიც სათამაშო ბიზნესთან ასოცირდება.

ვინაიდან დრო ცოტა მქონდა ინტერვიუს ჩასაწერად ყველაზე მოხერხებული დრო მთავრობის კანცელარია იყო. მთავრობის სხდომის შემდეგ მინისტრი ჩვეულებრივ ყოველთვის ჩამოდიოდა ბრიფინგების ოთახში პრესის წარმომადგენლების კითხვებზე პასუხის გასაცემად.

როდესაც მინისტრი მეთერთმეტე სართულიდან მეორეზე ჩამოვიდა, ბრიფინგის ოთახში შესვლამდე ჩართული კამერითა და მიკროფონით მივუახლოვდი, ვთხოვე ინტერვიუ და თან ვკითხე, რატომ არ მიუთითა საკუთარი კომპანია „მაქს-ბეთი“ დეკლარაციაში. მან გაიკვირვა და თქვა, რომ ასეთი კომპანიის შესახებ არ სმენია.

პრესასთან შეხვედრა რამდენიმე წუთში იწყებოდა, ამიტომ აღარ შევაყოვნე. ბრიფინგის დროს მისთვის სხვა კითხვა არ დამისვამს, არ მინდოდა ჩემი თემის შესახებ სხვა ჟურნალისტებსაც მიეღოთ ინფორმაცია.

ბრინფინგიდან გამოსულ მინისტრს კომპანიის ამონაწერი და საარქივო დოკუმენტები ვაჩვენე ხელმოწერებით. მან ჩახედა ფურცლებს და გაიმეორა, რომ ნამდვილად არ ახსოვდა ამ კომპანიის შესახებ, თუმცა, დაიტოვა კომპანიის ამონაწერი. მინისტრი ჩართული კამერის წინ შემპირდა, რომ აუცილებლად გაარკვევდა, რა კავშირში იყო მასთან ეს კომპანია.

მე ვისარგებლე საშუალებით და შევუთანხმდი, რომ პრესცენტრის მეშვეობით დავუკავშირდებოდი. წინასწარ ვთხოვე, ინტერვიუ მოეცა მას შემდეგ, რაც საკითხში გაერკვეოდა.

მესამე დღეს პრესცენტრს დავუკავშირდი და მითხრა, რომ კახა კალაძე ინტერვიუზე თანახმა იყო.

სანამ ინტერვიუზე მივიდოდით, „რუსთავი 2“-ის ვიდეოარქივში საინტერესო მასალას მივაკვლიეთ – კახა კალაძის მიერ საკუთარი კომპანიისთვის ერთ დოლარად ნაჩუქარი გემის, "SEA PRINCE"- ის ლიცენზიის მფლობელი კომპანიის „მეტალიკის“ თანამშრომლები 2010 წელს დაკავებულები იყვნენ ნავთობის კონტრაბანდისთვის.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მათ „გემების საწვავის მომარაგების მიზნით შემოიტანეს დაახლოებით 27 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავი, რომლის საბაჟო ღირებულება აღემატებოდა 31 მილიონ ლარს. ამ პირებმა მოახდინეს მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ყოველგვარი დოკუმენტაციის, საბაჟო გადასახდელების გარეშე“.

„მაქს-ბეთის“ ყოფილმა მეწილემ, მერაბ უნგიაძემ დაგვიდასტურა, რომ 30 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, შემდეგ მილიონნახევარი ლარის გადახდის სანაცვლოდ საპროცესო გარიგების საფუძველზე გაათავისუფლეს.

მერაბ უნგიაძემ, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კახა კალაძის ბიზნესპრატიონი იყო, გვითხრა: „კახა კალაძე არ იყო ჩვენი წილის მფლობელი და საერთოდ არ ვიცნობ კახა კალაძეს. კახა კალაძე ვიცი, რომ იყო წარმატებული ფეხბურთელი...“

თუმცა დოკუმენტებში სხვა რამ წერია, ისინი ბიზნესპარტნიორები იყვნენ.

პარტნიორების შენტანი საწესდები კაპიტალ შეიდგენს:

1. **კახა კალაძე** – 125 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მისი წილი საწესდები კაპიტალში განისაზღვრება 25%-ით.
2. **ანდერი ბარნოიაშვილი** – 125 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მისი წილი საწესდები კაპიტალში განისაზღვრება 25%-ით.
3. **მერაბ უნგიაძე** – 150 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მისი წილი საწესდები კაპიტალში განისაზღვრება 30%-ით.
4. **ალექსანდრე კალაძიშვილი** – 50 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მისი წილი საწესდები კაპიტალში განისაზღვრება 10 %-ით.
5. **ალბერტ კაპანაძე** – 50 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მისი წილი საწესდები კაპიტალში განისაზღვრება 10 %-ით.

კახა კალაძემ მერაბ უნგიაძისგანაც და სხვა დანარჩენი მეწილეებისგანაც გამოისყიდა წილები და “მაქს-ბეთის” 100%-ის მფლობელი გახდა.

მინისტრთან შეთანხმებული ინტერვიუ ხანგრძლივი გამოვიდა, რა დროსაც მან თქვა, რომ გაარკვია, რომ კომპანია მართლაც მის სახელზე იყო რეგისტრირებული, მაგრამ ეს ფაქტი აღარ ახსოვდა. კალაძის თქმით, ამ კომპანიის შექმნაში მას მონაწილეობა პირადად მონაწილეობა არც მიუღია, უბრალოდ, მეგობრებთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებით დააფუძნა. ასევე დააზუსტა, რომ მეგობრები და დამფუძნებლები ერთი და იგივე კახა კალაძემ მერაბ უნგიაძისგანაც და სხვა დანარჩენი მეწილეებისგანაც

გამოისყიდა წილები და „მაქს-ბეთის“ 100%-ის მფლობელი გახდა.

მინისტრთან შეთანხმებული ინტერვიუ ხანგრძლივი გამოვიდა, რა დროსაც მან თქვა, რომ გაარკვია, რომ კომპანია მართლაც მის სახელზე იყო რეგისტრირებული, მაგრამ ეს ფაქტი აღარ ახსოვდა. კალაძის თქმით, ამ კომპანიის შექმნაში მას პირადად მონაწილეობა არც მიუღია, უბრალოდ, მეგობრებთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებით დააფუძნა. ასევე დააზუსტა, რომ მეგობრები და დამფუძნებლები ერთი და იგივე პიროვნებები არ იყვნენ. რაც შეეხება მისი ბიზნესპარტნიორების დაკავებას ნავთობის კონტრაბანდისთვის 2010 წელს, კალაძის თქმით, ეს ყველაფერი მაშინდელი ხელისუფლების პირობებში პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

„მაქს-ბეთის“ კავშირმა საზღვაო ტრანსპორტის საწვავის ბიზნესთან ჩვენს ჰიპოთეზაში ცვლილებები შეიტანა და საბოლოოდ ორი საინტერესო მიმართულება ჩამოყალიბდა.

1. მისი კომპანიის, “მაქს-ბეთის” კავშირი სავარაუდოდ კონტრაბანდუილი ნავთობის ბიზნესთან;

2. კალაძის შესაძლო კავშირი სათამაშო ბიზნესთან ირიბად გამოიკვეთა.

კავშირი სათამაშო ბიზნესთან

„მაქს-ბეთის“ საარქივო დოკუმენ-ტებში ვნახე, რომ როდესაც კახა კალაძე ამ კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა, კომპანიის დირექტორად დანიშნა პირი, რომელიც ამავდროულად ტოტალიზატორ „მაქ-სიმუმის“ დირექტორიც იყო. ამაზე შორს წასვლა სიუჟეტის მომზადებისას ვეღარ შევძელი.

რაც შეეხება ამბის თხრობას, ისტორიას ქრონოლოგიურად მივყევი. მოვყევი, როგორ გამიჩნდა თემის იდეა, როგორ მოვიპოვე დოკუმენტები, რა ვნახე დოკუმენტებში, მონაცემთა ბაზებში, როგორ ჩავწერე ინტერვიუები და ასე შემდეგ.

ეს ერთგვარი გაკვეთილია მაყუ-რებლისთვისაც: აჩვენებ, როგორ მუშაობ, როგორ მოიპოვე ინფორმაცია ღია წყაროების დახმარებით და როგორ გახადე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი.

შედეგად მინისტრმა იმავე წელს კომპანიის ლიკვიდაცია მოახდინა. სიუჟეტი პრაიმ თაიმში დიდმა აუდი-ტორიამ ნახა და სხვა მედიებმაც დაწერეს ამის შესახებ.

მსგავსი მეთოდით მიძინებული კომპანია, საეჭვო კავშირებით, აღმოვაჩინეთ პრემიერ მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის დეკლარაციების შემოწმებისასაც.

სავარჯიშოები:

1. სამეწარმეო რეესტრში მოძებნეთ „მაქს-ბეთის“ დოკუმენტები და შეადგინეთ ამ კომპანიასთან დაკავშირებული პირებისა და მათი სხვა ორგანიზაციების კავშირების ხე. სცადეთ, რომ კავშირების ხე მაქსიმალურად სრულყოფილი გამოვიდეს,

2. მოიძეთ განახლებული ინფორმაცია „მაქს-ბეთთან“ დაკავშირებული პირებისა და ორგანიზაციების შესახებ. რას აკეთებენ ისინი ახლა?

გარიგებული თამაშები საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში

გამოძიების ავტორები:
გიორგი ჩადუნელი და დეივ ბლოსი

საქართველოს პროკურატურის გამოძიების ოფიციალური ვერსიით, სამი წლის განმავლობაში საქართველოს საფეხბურთო ლიგებში სულ მცირე 10 გარიგებული მატჩი დაფიქსირდა ან ამ თამაშებზე უკიდურესად საეჭვო ფსონები განთავსდა. ათასობით დოლარის ფსონი გაკეთდა ისეთ თამაშებზე, რომელსაც ხშირად ორმოცდაათ ადამიანზე ნაკლები ესწრებოდა. გამოძიება ამტკიცებდა, რომ საქართველოში ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა, რომელიც ფეხბურთელებს და კლუბების ხელმძღვანელებს სასურველი შედეგის მისაღწევად წინასწარ ურიგდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც შეთანხმება მატჩის კონკრეტულ შედეგზე, თამაშის მიმდინარეობისასაც კი იცვლებოდა.

გამოძიება ამტკიცებს, რომ დანაშაულის გახსნა მოხდა ჩანერგილი სამართალდამცველის წყალობით, რომელმაც არაერთი ვიდეო, აუდიო და სხვა მტკიცებულება მოიპოვა.

შედეგად, გაასამართლეს მსაჯები, ფეხბურთელები, კლუბების ხელმძღვანელები და სხვა პირები, რომლებიც გამოძიების აზრით ჯგუფურად მონაწილეობდნენ თამაშების „ჩაწყობაში“. მათ უმრავლესობასთან დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ საპროცესო გარიგება გაფორმდა, ფეხბურთის ფედერაციამ კი სხვადასხვა სანქცია დაუწესა. მიუხედავად ამისა, ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ გამოძიება ხარვეზებით ჩატარდა და დანაშაულის რეალური მტკიცებულება არ არსებობდა.

როგორ ვიპოვეთ საგამოძიებო თემა და როგორ მიდიოდა ჟურნალისტური გამოძიება?

გიორგი ჩადუნელი

წარმოვიდგინოთ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თამაში პირველ და მეორე ადგილზე მყოფ გუნდებს შორის. ჩემ წინ მეორე იარუსის ტრიბუნიდან თამაშს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი უყურებს. ექტორ რაულ კუპერი თავის ასისტენთან ერთად, სავარაუდოდ, ეროვნულ გუნდში გამოძახების კანდიდატებს აკვირდება. 60 ათასზე მეტი ტევადობის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონს ჩვენ გარდა ფეხბურთელების ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, თბილისის „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ფანკლუბის ათეულობით წევრი ავსებს, ჯამში ალბათ 200 ადამიანი. თამაში ისეთ შთაბეჭ-

დილებას ტოვებს, თითქოს YouTube-ის ვიდეო ნორმალური სიჩქარიდან ორჯერ შენელებულზე გადართეს. დამსწრეების ემოციაზე მკაფიოდ კი გამყიდველის ხმა ისმის: „ნაყინი, კოკა კოლა, ბურბუშელა, სემიჩკა�ა“. ეს იყო 14-15 წლის წინ.

აღწერილიდან კარგა ხნის შემდეგ, საქართველოს საფეხბურთო სტადიონებზე ბევრი არაფერი იყო შეცვლილი, როდესაც 2014-15 წლებში ერთმანეთის მიყოლებით ვრცელდებოდა ინფორმაცია ქვეყნის ჩემპიონატის (უმაღლეს და პირველ ლიგაში) მატჩების ჩაწყობის შესახებ. ჯერ იყო „მსაჯების საქმე“, შემდეგ კი ე.წ. „ორგანიზებული ჯგუფის საქმე“, რომელიც გამოძების აზრით, გარიგებულ თამაშებს აწყობდა და არალეგალურ ფსონებს საზღვარგარეთის ტოტალიზატორებში ათავსებდა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ მედიაში მომხდარის გაშუქებას არცთუ დიდი დრო ეთმობოდა, და თუ ეთმობოდა, გაშუქება ზედაპირული იყო, OCCRP-ის რეგიონულ რედაქტორ დეივ ბლოსთან ერთად (სპორტის, განსაკუთრებით კი ფეხბურთის გულშემატკივრებმა), გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, რასთან გვქონდა საქმე - ვინ აწყობდა თამაშებს? ან საერთოდ ვინ იღებდა ფსონებს იმ გუნდების თამაშებზე, რომელთა სახელწოდებაც ხშირ შემთხვევაში საქართველოშიც კი უცნობია? გვაინტერესებდა დეტალებიც: ვის უნდა გაურიგდე? ფეხბურთელს? კლუბის ხელმძღვანელს? როგორ უნდა ანიშნო თამაშის მიმდინარეობისას გოლი რომ უნდა გავიდეს? ან როგორ მოხდა ამ ყველაფრის გამოძიება?

სტატიაზე მუშაობის დაწყებისას ჩვენ გვქონდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური პრესრელიზები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაკეთებული მშრალი კომენტარები, რომ გმობენ მომხდარს და ითანამშრომლებენ გამოძიებასთან. ასევე, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ამა თუ იმ მოქმედი პირის სასამართლო ჩატარდებოდა გარკვეულ დროს.

სწორედ ამ მცირე ინფორმაციას ეფუძნებოდა ჩვენი ჰიპოთეზა: ორგანიზებული ჯგუფი ურიგდება საფეხბურთო კლუბებს, რადგან შემდეგ ფსონების უცხოურ ტოტალიზატორებში განთავსების გზით მიიღოს გარკვეული შემოსავალი. თუმცა, ასე ერთმნიშვნელოვანი რომ არ იყო რეალობა თავიდანვე ცხადი იყო.

გამოძიებისას ერთი მეორის მიყოლებით ინფორმაციის მოპოვების

სხვადასხვა ბარიერის გადალახვა გვიხდებოდა. მედიასთან სიღრმისეული საუბარი და დეტალების გამხელა არავის უნდოდა. უპირველს ყოვლისა, ვცადე, გამერკვია ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ტელეფონის ნომრები. ამისთვის დავუკავშირდი სპორტის თემების გაშუქებაზე მომუშავე ჩემს რამდენიმე კოლეგა ჟურნალისტს. აღმოჩნდა, რომ არც მათ ჰქონდათ ყველას საკონტაქტო ინფორმაცია. სულ სამი ან ოთხი სავარაუდო რესპონდენტის ტელეფონის ნომრის მოძიება მოხერხდა, საქმის მონაწილეთა და მათი ადვოკატების ჯამი კი 20-ს აღემატებოდა.

პირველი კონტაქტის შემდეგ, საუბრის სურვილი არავინ გამოხატა. გარდა იმისა, რომ იყო სუბიექტური მიზეზები, იყო ობიექტურიც. მსაჯების საქმის მონაწილეებს საპროცესო გარიგება ჰქონდათ გაფორმებული და ცხოვრების ამ ეპიზოდის გახსენებაც არ უნდოდათ, ე.წ. „ორგანიზებული ჯგუფის“ საქმე კი სასამართლოში განიხილებოდა. არ იყო გამორიცხული საპროცესო გარიგების მიღწევა, რაც ასევე ქმნიდა გარკვეულ ბარიერს. გადავწყვიტეთ სასამართლო პროცესს დავსწრებოდით. დროის გარკვევა არ იყო რთული. ინფორმაცია სასამართლოს ვებ-გვერდზე ქვეყნდებოდა. იქ მისვლა და საქმის მონაწილეებთან გასაუბრება, თუდაც ინტერვიუს გარეშე (off-record), მნიშვნელოვანი იყო.

პროცესამდე იყო დრო, რომელიც ქრონოლოგიის აწყობაში გამოვიყენეთ. ეს ქრონოლოგია აღწერდა, როდის გახდა ცნობილი ამა თუ იმ სკანდალის შესახებ, ვინ გააჟღერა ინფორმაცია და რა რეაქცია (კომენტარი, განცხადება) მოყვა ამას შესაბამისი ოფიციალური უწყებებისგან. ამან მომხდარზე გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა. თუმცა, ცხადი იყო, რომ იქნებოდა ასაწყობი კიდევ ერთი „თაიმლაინი“: უშუალოდ მოვლენების განვითარების და არა იმის, თუ როდის გახდა ცნობილი მათ შესახებ. ანუ ვინ როდის მივიდა ვისთან, როდის და როგორ დაიდო ფსონი, როდის მოხდა ესა თუ ის საგამოძიებო მოქმება. ამ ქრონოლოგიის ასაწყობად თითქმის არაფერი გვქონდა. ყველაფერი სასამართლოში მისვლის შედეგად შეიცვალა.

დეივ ბლოსთან ერთად დარბაზთან პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედით. მალე ბრალდებულებიც გამოჩდნენ. მას შემდეგ, რაც გავეცანით, დაწვრილებით ავუხსენით, რა იყო ჩვენი მიზანი. განვუმარტეთ, რომ გვინდოდა, გაგვერკვია, სინამ-

დვილეში რა მოხდა და გაგვეცნო აუდიტორიისთვის მომხდარის შესახებ მათი ხედვა. ხაზი გავუსვით, რომ ჩვენი აზრით, ახლა მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურების პოზიცია იყო ნათელი, მათი პოზიცია კი ყველასთვის უცნობი იყო, და ეს სიმართლე იყო.

სასამართლო დარბაზის წინ საუბრის დროს გვიერთდებოდნენ ბრალდებულთა ადვოკატები. მიუხედავად ჩვენი არგუმენტებისა, ბრალდებულთაგან ინტერვიუზე არავინ დაგვთანხმდა. თუმცა, ყველამ ნება მისცა ადვოკატებს, მათი სახელით ესაუბრათ, რასაც ადვოკატები (შესაძლოა, მედიაში გამოჩენის სურვილის გამოც), დასთანხმდენენ.

ჩვენს სასამართლოში მისვლას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა. ვიცოდით, რომ საქმის მასალები მოცულობითია და შეიცავდა როგორც სატელეფონო ჩანაწერებს, ისე ოპერატიულ ვიდეო მასალასაც. ამიტომ, იქვე ვთხოვეთ, რომ ჩვენთვის გადმოეცათ ეს მასალები, რისი შესწავლის შემდეგაც ადვოკატებთან ჩავწერდით ინტერვიუებს. ორკვირიანი მოლაპარაკებებისა და ლოდინის შემდეგ, სამი ათასი გვერდისგან შემდეგარი 9-ტომიანი საქმე გადმოგვეცა, აუდიო და ვიდეო ფაილებთან ერთად. მასალების გადმოცემას ადვოკატები და ბრალდებულები დასთანხმდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ დოკუმენტებში არ იყო დანაშაულის ჩადენის საკმარისი მტკიცებულება და ამაში ჩვენც დავრწმუნდებოდით.

საბუთები დასკანერებული იყო. გვერდებზე ძიება (CTRL+F) შეუძლებელი იყო. მონაკვეთსაც ვერ მონიშნავდი და ტექსტად ვერ გადაიტანდი. ამიტომ იყო საჭირო ისეთი სისტემის შექმნა, რომლის მეშვეობითაც, მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ამა თუ იმ კონკრეტული ამბის, ციტატის, ან სხვა ინფორმაციის მოძებნა. ამისთვის შესაძლოა იყოს გამოყენებული ექსელი, ვორდი ან სხვა კომპიუტერული პროგრამა. მაშინ გადავწყვიტე, რომ გამომეყენებინა ბლოკნოტი. მთავარია არსებობდეს სისტემა და ჩანაწერები იყოს ნათელი, რადგან საჭიროების შემთვევაში სწრაფად შეძლო მათი წაკითხვა და სწორი გვერდისა თუ ფრაზის მიგნება.

ამავე დროს, იმის მიუხედავად, რომ სტატიის ჩაბარების ვადები საკმაოდ მოქნილი იყო, 3 000 გვერდის თავიდან ბოლომდე წაკითხვა იყო შეუძლებელი. პრობლემა ისევ ადვოკატებთან საუბრით მოგვარდა. მათ ამიხსნეს, რომ საბუთების სტრუქტურიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო

საქმეში არსებული გარკვეული ნაწილის (რამდენიმე გვერდის) წაკითხვა, რომელიც წარმოდგენას იძლეოდა, რის საფუძველზე იყო დაწერილი და შემდეგ, თუ კონკრეტული მონაკვეთის დეტალურად შესწავლა გახდებოდა საჭირო, მისი უკვე მთლიანად წაკითხვა. დაახლოებით ისე, როგორც აკადემიური სტატიის წაკითხვისას აბსტრაქტი და დასკვნა იძლევა წარმოდგენას სტატიის სრულ შინაარსზე.

ადვოკატების რჩევამ გაამართლა. თუმცა, საქმის მასალების შესწავლას ორ თვეზე მეტი მაინც დასჭირდა. ამან მოგვცა საშუალება, დეტალურად გავრკვეულიყავით განვითარებულ მოვლენებში და დაგვენახა გამოძიების მიერ დაშვებული შეცდომები. ხოლო აღმოჩენების სისტემატიზაციამ გააადვილა ფაქტების გადამოწმების (fact-checking) პროცესი.

სტატიაზე მუშაობისას, ერთ-ერთი მთავარი გმირი, რომელსაც გამოძიება აზიური ტოტალიზატორის წარმომადგენლად (ეს არ დადასტურდა) მიიჩნევდა, შეხვედრას დათანხმდა. გვანახა თავისი სახლის ის ოთახი, საიდანაც ხდებოდა ფსონების დადება. მართალია, ინტერვიუზე (ანუ მისი სიტყვების ციტირებაზე) უარი თქვა, მაგრამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, მისი ამბავი მოგვეყოლა.

სტატიის წერისას დავესწარით საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე თამაშს, როგორც უმაღლეს ლიგაში, ისე მეორე დივიზიონში. შეგვექმნა უკეთესი წარმოდგენა, რა ვითარებაში ხდებოდა სტატიაში მოყოლილი ამბები. სტატია იწერებოდა გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად. იგულისხმება, რომ თუ ჩვენ ჩავწერდით ინტერვიუს ადვოკატთან ან დავესწრებოდით თამაშს, ამ ნაწილის „ქაღალდზე გადატანა“ (ვორდის ფაილში) ხდებოდა რაც შეიძლება სწრაფად. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტიპის სტატია შეიცავდა ბევრ ნიუანსს და ინფორმაციას, გადაწყდა მისი სექციებად დაყოფა. ამავე დროს, უშუალოდ თამაშების ჩაწყობის აღწერა გადავიტანეთ თანმდევ მცირე სტატიებში (sidebars).

საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება მივეცით ყველა შესაძლო მხარეს: ფეხბურთის ფედერაციას (ლევან კობიაშვილმა მოგვცა ინტერვიუ), შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს. დავუკავშირდით UEFA-საც, რომელმაც წერილობით გვიპასუხა. თავდაპირველად სტატია iFact-ზე გამოქვეყნდა. ინფორმაცია ახალ, სავარაუდოდ, ჩაწყობილ თამაშებზე ამის შემდეგაც ჩნდებოდა. iFact-ის გვერდზე ცალკე ვაქვეყნებდით ინფორმაციას ახალ შემთხვევებზეც. ეს ახალი მასალები დავურთეთ OCCRP-ს გვერდზე გამოსაქვეყნებელი სტატიის ვარიანტს. შევმატეთ იმ ორგანიზაციის

წარმომადგენლის ინტერვიუ, რომელიც სავარაუდო ჩაწყობილი თამაშების აღმოჩენაზე მუშაობდა. ის ხსნიდა, რა პრინციპით მუშაობდა ეს სისტემა. გარდა ამისა, დავურთეთ, სავარაუდოდ, გარიგებული მატჩების ახალი ვიდეოებიც.

სტატიების გამოქვეყნების შემდეგ, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „პოსტ სკრიპტუმმა“ გააკეთა რეპორტაჟი, ხოლო სოციალური ქსელებით და ელექტრონული ფოსტით ბევრი ონლაინ გამოცემა დამიკავშირდა და სტატიის მათ ვებგვერდზე გამოქვეყნების ნებართვა მთხოვეს. ვერ ვიტყვი, რომ უშუალოდ ჩვენს მუშაობას უკავშირდება, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დანერგა საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაშების ვიდეო გადაღების სისტემა. მანამდე თამაშის გადაღება ევალებოდა მასპინძელ გუნდს. ეს ხდებოდა სამოყვარულო კამერით, არაპროფესიონალურად და ხშირ შემთხვევაში არ ჩანდა ის, რისი გამოჩენაც აუცილებელი იყო.

სავარჯიშოები:

1. მოიფიქრეთ სტატიაში აღწერილი მოვლენების ალტერნატიული თხრობის ხერხი: რა ფორმატში (დოკუმენტური ფილმი, სატელევიზიო სიუჟეტი, რადიო, საგაზეთო, მულტიმედია) მოყვებოდით? რა კუთხეს აირჩევდით? რატომ?

2. გაარკვიეთ რა მდგომარეობაა საქართველოში ან სხვაგან ჩაწყობილი თამაშების კუთხით (ნებისმიერ სპორტის სახეობაში) ბოლო წლებში: შექმენით მოვლენათა ქრონოლოგია (timeline), მიუთითეთ წყაროები და აღწერეთ რა რეაქცია მოყვა თქვენს ქრონოლოგიაში მითითებულ მოვლენებს?

3. აირჩიეთ რომელიმე გუნდის (ფეხბურთი, კალათბურთი) ან სპორტული ფედერაციის წარმომადგენელი (პრეზიდენტი, მენეჯერი, სხვა) და ჩამოწერეთ კითხვები, რომლებსაც მას დაუსვამდით. რატომ აირჩიეთ ეს რესპონდენტი? რის გარკვევას ცდილობთ?

4. დაესწარით რომელიმე სპორტულ ღონისძიებას და დაწერეთ მაქსიმუმ ორგვერდიანი სტატია, რომელსაც ექნება ორიგინალური კუთხე. მაგალითად: საქართველოსა და პორტუგალიის თამაშის საინტერესო კუთხე იყო ის, რომ 2013 წელს კრიშტიანო რონალდო დაესწრო თბილისის დინამოს აკადემიის გახსნას და აქვს გადაღებული ფოტო, რომელზეც საქართველოს ნაკრების რამდენი ფეხბურთელია, მათ შორის ხვიჩა კვარაცხელია და გიორგი ჩაკვეტაძე. ნუ დაწერთ, რა ანგარიშით დასრულდა მატჩი, ვინ რომელ წუთზე გაიტანა გოლი ან მიიღო ყვითელი ბარათი.



დუზაგრამას ოლიგარქი, ანუ როგორ დაეპატრონა მერის წარმომადგენელი სოფლის მიწებს

მასალის ავტორები:

აიდან იუსიფი, მარიამ კაჭკაჭიშვილი

როგორ მიდიოდა ჟურნალისტური გამოძიება:

აიდან იუსიფი

ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე მუშაობს და მუნიციპალიტეტებში ხალხს ხვდება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დუზაგრამაში მოსახლეობასთან საუბრისას გაიგო, რომ გლეხებს საძოვრების პრობლემა ჰქონდათ. დუზაგრამა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთია იმ შვიდი სოფლიდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელია. აქ ადგილობრივები სოფლის მეურნეობას, უფრო კონკრეტულად კი მეცხვარეობას მისდევენ. ამიტომ საძოვრების გარეშე ამ სოფელში გლეხების ცხოვრება გაუსაძლისი გახდა.

ის, რაც დუზაგრამაში ხდებოდა და ახლაც გრძელდება, ნაცნობი ამბავია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მანამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზების პროცესმა უზარმაზარი შესაძლებლობები შექმნა კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის.

საქართველომ მიწის საკუთრების სისტემის რეფორმა 2007 წელს დაიწყო. შედეგად, ათობით სოფელში გლეხებმა დაკარგეს მიწები. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფო ენას არ ფლობს. ამიტომ ამ რეფორმის არსი ბოლომდე ვერ გაიგეს და ვერ დაარეგისტრირეს ის მიწები, რომელსაც მანამდე იყენებდნენ. შედეგად, სოფლებში არსებული მიწების დიდი ნაწილი თანამდებობის პირებსა და მათთან დაახლოებული ბიზნესების ხელში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს საკითხი უნდა გამოგვეძიებინა.

დავიწყეთ აქტიური ადამიანების მოძიება ამ სოფლიდან, რომლებსაც შესაძლოა მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ პრობლემის შესახებ. დავუკავშირდით ერთ-ერთ აქტივისტს, რომელმაც პრობლემა აღგვიწერა და დაგვეხმარა იმ გლეხებთან დაკავშირებაში, ვისაც ეს საკითხი შეეხო. ჩვენ ასევე გვჭირდებოდა ადამიანი, ვინც მერის წარმომადგენლის ხელში

არსებული ნაკვეთების დადგენაში დაგვეხმარებოდა.

რამდენიმე ადგილობრივს თბილისში შევხდით. მოგვიყვნენ, როგორ დაკარგეს მიწის გამოყენების უფლება, თუმცა მერის წარმომადგენლის ხელში არსებული ნაკვეთების სიის დადგენაში დახმარებაზე უარი გვითხრეს. რადგან დუზაგრამა პატარა და უმცირესობებით დასახლებული სოფელია, ძალიან ჩაკეტილია და აქ მერის წარმომადგენელს, მუხტარ ისმაილოვს მოსახლეობაზე დიდი გავლენა აქვს. მათ მუხტარის და მისი პოლიციელი შვილის ეშინიათ. ამიტომ სოფელში წყაროს პოვნა ამ გამოძიებაზე მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწილი იყო.

სოფლიდან სანდო ადამიანის მოძიებისთვის, რომელიც მუხტარ ისმაილოვის ხელში ჩაგდებული მიწების სიის შედგენაში დაგვეხმარებოდა, დაახლოებით სამი თვე დაგვჭირდა.

ვფიქრობდით, რომ დუზაგრამაში მერის წარმომადგენელი, თავისი ძალაუფლების გამოყენებით, სოფლის სახნავ-სათეს მიწებს უკანონოდ ეპატრონებოდა. ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა რა გზით აკეთებდა ამას მუხტარ ისმაილოვი, რომელიც 2007 წლიდან სოფელში საგარეჯოს მერის წარმომადგენელია. 4 - თვიანი გამოძიების ბოლოს კი ეს ჰიპოთეზა დავადასტურეთ.

ამბავი პირველად 2022 წლის თებერვალში გავიგეთ. პირველი სამი თვე სოფლიდან სანდო წყაროს მოძიებაში გავატარეთ. როგორც კი ეს ადამიანი ვიპოვეთ და დავითანხმეთ, დავსახეთ სტრატეგია. უპირველეს ყოვლისა, შევადგინეთ ყველა იმ ნაკვეთის სია, რომლებსაც მერის წარმომადგენელი დაეპატრონა. ამას მხოლოდ ჩვენი წყაროს დახმარებით შევძლებდით, რადგან, ოფიციალურად, რეესტრის დოკუმენტებით ამის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ ამ ხალხს პირადად არ ვიცნობდით.

აღმოჩნდა, რომ სიაში, ჯამში, 50-ზე მეტი ნაკვეთი იყო. შემდეგი ეტაპი კი ამ ნაკვეთების უძრავი ქონების რეესტრში შემოწმებას დავუთმეთ. napr.gov.ge-ს გამოყენებით შევისწავლეთ თითოეული მიწის ნაკვეთის გაფორმების ისტორია.

უძრავი ქონების რეესტრი არის ღია წყარო, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქონების რეგისტრაციის ყველა ეტაპის შესახებ. გარდა ამისა, კვლევის ეტაპზე აქტიურად გამოვიყენეთ საკადასტრო რუკა - maps.gov.ge, რომელიც უძრავი ქონების იდენტიფიკაციისა და შესწავლის საშუალებას იძლევა.

ორი თვის განმავლობაში თითო ნაკვეთთან დაკავშირებით, საშუალოდ, 7-8 დოკუმენტი გავაანალიზეთ, საერთო ჯამში 400-მდე. აღმოჩნდა, რომ ისმაილოვმა ყველა ნაკვეთი ერთი და იმავე სქემით დაირეგისტრირა. ზოგი თავის სახელზე, ზოგი ოჯახის წევრების, ზოგიც კი მოტყუებით ან შეთანხმებით თანასოფლელებზე გააფორმა. ასეთი 31 თანასოფლელი აღმოვაჩინეთ, ვინც ისმაილოვს ნაკვეთების ოფიციალურ მფლობელად ჰყავდა გაფორმებული.

შემდეგ დავგეგმეთ საველე სამუშაოები სოფელში. უნდა მივსულიყავით ადგილობრივებთან და გაგვერკვია, იცოდნენ თუ არა, რომ მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ, რაც მთავარი გამოწვევა აღმოჩნდა.

ვიცოდით, რომ სოფელში მუხტარი და მისი პოლიციელი შვილი ყველაფერს აკონტროლებდნენ და მოსახლეობას მათი ეშინოდა. ამიტომ, ჩვენი სოფელში ჩასვლა მათ ყურამდე რაც შეიძლება გვიან უნდა მისულიყო. წყაროს დახმარებით გავარკვიეთ, რომ ისმაილოვი კვირაში რამდენიმე დღე სოფელს ტოვებდა და მთაში მიდიოდა. საველე სამუშაოების ნაწილი ზუსტად ამ პერიოდში დავგეგმეთ. მუხტარს ვერ უნდა მოესწრო ადგილობრივების გაფრთხილება, რადგან მისი შიშით ჩვენ სიმართლეს არ გვეტყოდნენ.

სოფელს ერთი კვირის ინტერვალით 3-ზე მეტჯერ ვესტუმრეთ. ეჭვი რომ არ გაგვეჩინა, ყოველ ჯერზე მხოლოდ სამ ოჯახს ვსტუმრობდით და სოფელში დიდხანს არ ვრჩებოდით. სოფლის პირობებში ძალიან რთულია ინტერვიუსთვის შერჩეული ადამიანების სახლის მისამართების დადგენა და იდენტიფიცირება.

ინფრასტრუქტურულად ღარიბ სოფელში არც ქუჩების სახელებია მითითებული და არც ნომრები, ამიტომ კონკრეტული ადამიანის სახლის პოვნა კითხვა-კითხვით არის შესაძლებელი, რაც ჩვენს შემთხვევაში საშიში იყო. ამიტომ წინასწარ დავადგინეთ მისა-

მართები გეოლოკაციისა და ჩვენი წყაროს მეშვეობით. სოფელში რომ მივედით, მხოლოდ კონკრეტულ მისამართებს ვესტუმრეთ, ისე რომ გზაში არ გავჩერებულვართ და არავისთან გვქონია ზედმეტი კომუნიკაცია.

იმის გამო, რომ ასეთ ჩაკეტილ სოფელში უცხო ადამიანის გამოჩენა ბევრ ეჭვს ბადებს, მოსახლეობის ნდობის მოპოვება ძალიან რთულია. რის გამოც შევარჩიეთ სოფლის პირობებისთვის შესაფერისი იაფიანი მანქანა, რომელიც მათ ყურადღებას დიდად არ მიიქცევდა და ჩავიცვით შესაბამისად, რადგან ადგილობრივებს ჩვენი მიმღებლობა არ გასჭირვებოდათ. რადგან მოსახლეობა აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს, რესპოდენტებს ჩვენც მათ მშობლიურ ენაზე ვესაუბრებოდით. ვცდილობდით, ჩვენი არ შეშინებოდათ და მათგან საჭირო ინფორმაცია მიგვეღო.

წინასწარ არჩეულ რვა ადამიანთან ამ წესების დაცვით მივედით და ჩვენმა სტრატეგიამ გაამართლა. ორმა ქალმა ჩვენგან გაიგო, რომ მათ სახელზე გაფორმებული იყო მიწა სოფლის კონკრეტულ ადგილას, სადაც ისმაილოვის 90 ჰექტარი მდებარეობს. ერთმა აღიარა, რომ მიწა მის სახელზე ფორმალურად იყო და რეალურად კი მუხტარს ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენები გვარწმუნებდნენ, რომ მიწა მათი იყო და თავად იყენებდნენ. თუმცა, დაზუსტებით არცერთმა გვითხრა ნაკვეთის მონაცემები, არ გვაჩვენა არანაირი დოკუმენტი და არც ადგილზე წაგვიყვანა. ეს ცხადს ხდიდა იმას, რომ ისინი ისმაილოვის მიერ შექმნილ სქემაში მონაწილეობდნენ.

კვლევის ეტაპზე პრობლემა არ შეგვქმნია. დოკუმენტები ღია წყაროების მეშვეობით მოვიპოვეთ და დავამუშავეთ. დავადგინეთ შემდეგი სქემა:

ისმაილოვი ნაკვეთისთვის, რომელიც რეესტრში არავის სახელზე არაა რეგისტრირებული, არჩევს სანდო ადამიანს, რომლის სახელზეც ეს ნაკვეთი ოფიციალურად უნდა გაფორმდეს. მისი რჩეული რეესტრში ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას ითხოვს. რეესტრი კი იწყებს ამ პირის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ძიებას არქივებსა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში.

როცა რეესტრი ამ დოკუმენტს ვერ პოულობს, მიმართავს საგარეჯოს მერიას. მერიას ევალება დაადგინოს, ესა თუ ის ნაკვეთი არის თუ არა საკარმიდამო ან საოჯახო მეურნეობისთვის გაცემული მიწა. სწორედ ამიტომ მიმართავს ისმაილოვს, როგორც სოფელში მერის წარმომადგენელს. მას მიჰყავს ნაკვეთთან ორი მოწმე, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნაკვეთი იმას

ეკუთვნის, ვინც რეგისტრაციას ითხოვს. მოწმეებად ისმაილოვი მისთვის სანდო ადამიანებს იყენებს, მაგალითად თავის ცოლს ან მეგობრებს.

საბოლოო სიტყვა კი ისევ მასზეა. მან უნდა დაუდასტუროს მერიას, რომ მიწის ნაკვეთი ნამდვილად არის მეურნეობის მოსაწყობად გაცემული მიწა. ისმაილოვი ასეც იქცევა და რეესტრი ნაკვეთს ამ პირს უფორმებს. მერის წარმომადგენელი ამ სქემით დაეპატრონა 90 ჰექტარ მიწას.

სქემის გამოაშკარავების შემდეგ, პასუხი მოვთხოვეთ საგარეჯოს მერიასა და თავად ისმაილოვს. მთავარი გამოწვევა ზუსტად აქ შეგვექმნა. მერის პრესსამსახურთან შეთანხმების მიუხედავად, მერიაში მისულებმა ინტერვიუ ვერ ჩავწერეთ. კითხვების გაგზავნა მოგვთხოვეს. ჩვენ ასეც მოვიქეცით, მაგრამ მერმა არც ჩვენს წერილობით კითხვებს უპასუხა და არც შეხვედრა ისურვა. საბოლოოდ პრესსამსახურის წარმომადგენელმა ტელეფონზე მოგვცა კომენტარი და გვითხრა, რომ მერის წარმომადგენლის ქონებაზე მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ და თავად ისმაილოვისთვის უნდა გვეკითხა ამის შესახებ. ისმაილოვის სახლთან სამი სხვადასხვა დღის განმავლობაში ვიცდიდით იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც გამოვიდოდა. კარებზე ვაკაკუნებდით, თუმცა, არავინ გვიღებდა, მიუხედავად იმისა, რომ სახლში იყვნენ. შორიდან მიმავლებს დაგვინახავდნენ თუ არა, ყველაფერს კეტავდნენ და ბავშვებსაც ეზოში გამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ. საბოლოოდ, მუხტარმა ჩვენი ნახვა და ჩვენთან გასაუბრება არ ისურვა. მისმა შვილმა კი სახლის წინ მომლოდინეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენა და მოგვთხოვა ტერიტორია დაგვეტოვებინა.

მასალაზე მუშაობისას შევქმენით თაიმლაინი ექსელში, სადაც შეგვქონდა ყველანაირი ინფორმაცია თარიღების მიხედვით. ასევე გავაკეთეთ დრაივის ფოლდერი, სადაც ავტვირთეთ და დავალაგეთ ყველა დოკუმენტი თითოეული მიწის ნაკვეთის მიხედვით. ეს ფორმა დაგვეხმარა სქემის დადგენაში, საველე სამუშაოების ჩატარებაში, მასალის პირველადი ვერსსის დაწერასა და, საბოლოოდ, ფაქტების გადამოწმების დროს. ექსელი გვეხმარებოდა რომ გვენახა, როდის რა მოვლენა მოხდა და ვინ იყო ამის უკან. ხოლო დრაივი ისე დავაორგანიზეთ, რომ მარტივად გვეპოვა რომელი დოკუმენტი სად უნდა მოგვეძებნა.

ნაკვეთების მიხედვით ფოლდერში დოკუმენტების დალაგება დაგვეხმარა შემდგომ ამ დოკუმენტების ორგანიზებულად ამობეჭდვასა და აკინძვაში. რადგან ბევრი ნაკვეთი და მესაკუთრე იყო, საველე სამუშაოებისას ამ დოკუმენტების ჩვენება გვიწევდა მათთვის. შესაბამისად, მო-

გვიწია ამ დოკუმენტების ამობეჭდვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონიშვნა.

მასალაზე მუშაობის დაწყებისას გადავწყვიტეთ, რომ ვიდეოგამოძიებაც გაგვეკეთებინა და სტატიაც დაგვეწერა. უპირველეს ყოვლისა, დავწერეთ ფილმის სცენარი. გავწერეთ ყველა შესაძლო კადრი და ეპიზოდი, რისი გადაღებაც სოფელში და ოფისში უნდა მოგვეხერხებინა. ოფისში გადავიღეთ კვლევის პროცესი და მუხტარის მიერ გამოყენებული სქემის ამხსნელი ვიდეო.

სოფელში კი უნდა გადაგვეღო: სოფლის ზოგადი კადრები, მიწის ნაკვეთები, რომლებსაც მუხტარი იყენებს, წყაროები, ვისაც გავესაუბრებოდით, თავად მუხტარის სახლი, ინტერვიუ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერთან და თავად ისმაილოვთან.

გადაღების ეტაპის მთავარი სირთულე იყო თავად ამ ადამიანების ისე გადაღება, რომ მათი აგრესია არ გამოგვეწვია. უპრობლემოდ გადავიღეთ ნაკვეთები, რადგან შუა მინდორშია და შუადღეს იქ არავინ იყო. ასევე მარტივად გადავიღეთ სოფლის ზოგადი კადრები, თუმცა, ინტერვიუების შემთხვევაში ზოგჯერ ღიად ვიღებდით და ზოგჯერ ფარულად. ამას ვწყვეტდით ადგილზე, რესპონდენტის ტიპის მიხედვით. გარდა ამისა, საგარეჯოს მერიაში ჩუმად მოგვიწია გადაღება, რადგან ღიად ამის უფლება არ მოგვცეს.

საველე სამუშაოების მერე დავიწყეთ მასალის მონტაჟი და პარალელურად სტატიის წერა. რედაქტორთან ერთად დავადგინეთ სტრუქტურა. გადავწყვიტეთ ამბავი ქრონოლოგიურად მოგვეთხრო, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო.

საბოლოოდ „აი, ფაქტის“ გვერდზე გამოვაქვეყნეთ 18-წუთიანი ფილმი ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე (წყაროების საუბარი იყო აზერბაიჯანულად, ქართული ტიტრებით), სტატია კი ქართულად.

ჩვენი მასალის გამოქვეყნებიდან მალევე პროკურატურამ გამოავლინა, რომ კახეთში ცამეტმა პირმა სახელმწიფოს მიწები თაღლითურად დაისაკუთრა. ისინი აღიარებდნენ, რომ ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი ძალაუფლება, გააყალბეს რეესტრში წარდგენილი დოკუმენტები და მიწებს მოტყუებით დაეუფლნენ. თუმცა მუხტარ ისმაილოვი მათ შორის ვერ მოხვდა.

მასალას „აი, ფაქტის“ ფეისბუქ გვერდზე დიდი გამოხმაურება მოყვა:

https://www.facebook.com/ifact.ge/videos/5492203520825579

ვიდეოს 106K ნახვა და 144 გაზიარება ჰქონდა.

გარდა ამისა მასალა საერთაშორისო საგამოძიებო მედია „ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის კვლევის პროექტი“ [OCCRP] ინგლისურად გამოაქვეყნა.

OCCRP ORGANIZED CRIME AND CORRUPTION REPORTING PROJECT

INVESTIGATIONS DAILY FEATURES ANNOUNCEMENTS RESOURCES CONTACT ABOUT DONATE RU

Unwitting Wealth: How a Local Official Scooped up a Georgian Village

Published: 16 November 2022

The head of the village appears to have abused a new land titling system intended to help illiterate farmers, using it to take control of a chunk of former state land for himself, according to an investigation by iFact.

ამ თემაზე დიდი პროექტის გაკეთება შეიძლება. ეს არის სქემა, რომელსაც სავარაუდოდ ბევრ სხვა სოფელში იყენებენ. ჩვენ არ გვქონდა რესურსი რომ სხვა სოფლებიც გადაგვემოწმებინა. ამისთვის ამ და სხვა მსგავს რეგიონში, სადაც სახნავ-სათესი მიწების პრობლემა არსებობს პოტენციური სოფლების სიის დადგენა, შემდგომ ამ სოფლების მოსახლეობასთან ლაპარაკია საჭირო. ამის შემდეგ კი უნდა შედგეს იმ სოფლების სია, სადაც მიწები ამ ფორმით შეიძლება იყოს გასხვისებული.

სავარჯიშოები:

1. შეამოწმეთ საკუთარი სახელები ქონების რეესტრში, და ნახეთ, რა ქონებას ფლობთ.

2. იპოვეთ მიწის შესახებ კანონები matsne.gov.ge-ზე.

დავალების მიზანია, გავიგოთ, როგორ მუშაობს სისტემა.

ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილის საეჭვო სქემები

ნინო რამიშვილი

ჟურნალისტური გამოძიება „ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილის საეჭვო სქემები“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ღია წყაროებსა და საჯარო უწყებების დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიძიო ხელისუფალთა ახლობლების საეჭვო სქემებში მონაწილეობა.

ამ ჟურნალისტური გამოძიების ისტორია სხვა თემაზე მუშაობის პროცესიდან იწყება.

2020 წლის შემოდგომაზე ვამზადებდით ჟურნალისტურ გამოძიებას სახელმწიფოს მიერ რთველის სუბსიდირების შესახებ. კერძოდ, როგორ აუნაზღაურა ხელისუფლებამ მდიდარ კომპანიებს გლეხებისგან ყურძნის ჩაბარებისთვის თანხის ნაწილი, მაშინ როდესაც მცირე და საშუალო მეწარმეებს სახელმწიფოსგან სუბსიდირება არ მიუღიათ. ეს იყო საარჩევნო წელი. გადაცემაზე მუშაობისპერიოდშიდავადგინეთ,რომ სახელმწიფოსგან სუბსიდირებული კომპანიები „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულები არიან და წინასაარჩევნოდ მმართველ პარტიას ასეულობით ათასი ლარი შესწირეს, ამასთანავე ამ კომპანიების ნაწილი ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისა და მათი ბიზნესპარტნიორების საკუთრებაა. რამდენიმე მსხვილი კომპანია, რომელმაცსუბსიდირებისფარგლებში სახელმწიფოსგან დაფინანსება მიიღო ბიძინა ივანიშვილის ძმას ეკუთვნის, რამდენიმე კომპანია კი ბიძინა ივანიშვილის ძმის შვილის, უჩა მამაცაშვილის ბიზნესპარტნიორს.

აქედან გამომდინარე გადავწყვიტე, გადამემოწმებინა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის სხვა წევრები და მენახა, მათაც ხომ არ ჰქონდათ ღვინის კომპანიები. ძებნა დავიწყე ბიძინა ივანიშვილის უფროსი ძმის, ადიკო ივანიშვილის ოჯახით. გავარკვიე მისი ოჯახის წევრების, შვილების ვინაობა. ვნახე, რომ მისი შვილი ემზარ ივანიშვილია. ეს ინფორმაცია გუგლშიც მარტივად იძებნება. მაგალითად, 2012 წლის სექტემბერში მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ადიკო ივანიშვილის შვილს, ემზარ ივანიშვილს პოლიციის მოსყიდვაში ადანაშაულებენ. გავრცელდა ვიდეოც, რომელიც სავარაუდოდ ამ ფაქტს ასახავს. მაშინ საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია ძალიან აქტიურ ფაზაში იყო. პოლიცია ემზარ ივანიშვილის დაკავებასაც აპირებდა. ბიძინა ივანიშვილმა ამ ამბავზე თქვა, რომ მისი ძმისშვილი ემზარ ივანიშვილი მატყუარა და არასანდო ადამიანია და მას არ დაუვალებია თავისი ოჯახის წევრისთვის პოლიციის მოსყიდვა. ემზარ

ივანიშვილის სახელი და გვარი უძრავი ქონების რეესტრში ჩავწერე და მის სახელზე რეგისტირებული რამდენიმე უძრავი ქონება, მათ შორის საბურთალოზე მდებარე ბინა მოიძებნა. ამონაწერში პირის სახელისა და გვარის გასწვრივ მისი პირადი ნომერიც არის მითითებული. რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს ემზარ ივანიშვილი ნამდვილად ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილია, მისი პირადი ნომერი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გადავიტანე, სადაც ადამიანის პირადი ნომრისა და გვარის მითითების შემთხვევაში ამოდის მისი ფოტოსურათი და რეგისტრაციის ადგილი. ფოტოს ნახვისას დავრწმუნდი, რომ ეს პირადი ნომერი ნამდვილად ბიძინა ივანიშვილის ძმის შვილის, ემზარისაა. რათა მენახა, აქვს თუ არა მას რაიმე კომპანია, მისი პირადი ნომერი ბიზნეს რეესტრში, მონაწილეების ველში ჩავწერე. აქ ინფორმაცია მისი კომპანიების შესახებ არ აღმოჩნდა. ბიზნეს რეესტრში კომპანიის მეწილის ან დირექტორის შესახებ ამონაწერი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძებნება, თუკი ის აქტიური დირექტორი ან მფლობელია, ანუ თუ მოძებნის მომენტშიც არის დირექტორი, ან მეწილე. ამიტომ companyinfo.ge – ზე შევედი და ამჯერად იქ ჩავწერე ემზარ ივანიშვილის პირადი მონაცემები. აღმოჩნდა, რომ ემზარ ივანიშვილი კომპანია იორკ თაუერსში რამდენიმე თვით წილს ფლობდა.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ემზარ ივანიშვილი არ აღმოჩნდა ჩემთვის საინტერესო, რადგან მას წილი ღვინის კომპანიაში არ ჰქონია, თუმცა რადგან სხვა კომპანიაში ვნახე მისი მონაწილეობა, ემზარ ივანიშვილის საქმიანობის შესახებ კი 2012 წლის ინციდენტის გარდა, არაფერი ყოფილა გაშუქებული, დავინტერესდი რა კომპანიაა იორკ თაუერსი და გადავწყვიტე რამდენიმე წუთიანი მოკვლევა ჩამეტარებინა. გუგლში ამ კომპანიის შესახებ დავიწყე ძებნა. პირველი ინფორმაცია იორკ თაერსის შესახებ გუგლში მოიძებნა, რომ კომპანია ფლობს აშენებს ტაბახმელაში კერძო სახლებს. გასაგები გახდა, რომ იორკ თაუერსი დეველოპერული კომპანიაა და საკმაოდ მსხვილიც, რადგან თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ შემოგარენში მიწის ყიდვა და მშენებლობის ნებართვების მოპოვება მოახერხა. ასევე უნდა ითქვა, რომ სამშენებლო ბიზნესი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და კორუფციული სფეროა. არაერთი ჟურნლისტური გამოძიება და კვლევა მომზადებულა, ქაოტურ მშენებლობებზე, როგორ იგდებენ ხელში მიწებს, იღებენ,

შეუსაბამო ადგილებში, მშენებლობის ნებართვებს ხელისუფლებასთან და მმართველ პარტიასთან დაახლოებული კომპანიები. ამიტომ, ცხადია, გადავწყვიტე უფრო მეტი გამეგო ამ კომპანიის შესახებ. კომპანიის საიდენტიფიკაციო მონაცემები ჩავწერე უძრავი ქონების რეესტრში - პიროვნება/ორგანიზაციის ველში, რათა მენახა სად ფლობს მიწას ეს კომპანია და გამეგო როგორ და ვისგან იყიდა ეს მიწა. უძრავი ქონების რეესტრში აღმოვაჩინე, რომ ტაბახმელის გარდა, იორკ თაუერსი მიწებს ფლობს დუშეთში, ასევე 14 000 მ2 ფლობს თბილისის პრესტიჟულ შემოგარენში, ლისის ტბასთან ახლოს. ეს ქონება მას ცოტა ხნის წინ ჰქონდა შეძენილი. ამ ადგილებში მიწა ძირითადად სახელმწიფოს ეკუთვნის და პრივატიზებას, უფრო ხშირად, ხელისუფლებასთან დაახლოებული კომპანიები ახერხებენ.

შესაბამისად, ბუნებრივია, დავინტერესდი, მანამდე ვის ეკუთვნოდა ეს ტერიტორია და როგორ აღმოჩნდა კომპანიის საკუთრებაში. მიწის საკადასტრო კოდი ჩავწერე უძრავი ქონების რეესტრში და მისი წინა მფლობელის შესახებ ინფორმაცია ამოვიდა, ეს იყო პაატა პაპავაძე, მანამდე კი მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამიტომ, პაატა პაპავაძის ძებნა დავიწყე და ჯერ უბრალოდ გუგლში მოვძებნე მისი სახელი და გვარი. პირველი ინფორმაცია პრემიერმინისტრის განკარგულება იყო, რომლის მიხედვითაც ლისზე, მუხათწყაროსთან მდებარე 28 000 მ2 არასასოფლო-სამეურნეო მიწა მიიღო მოქალაქე პაატა პაპავაძეს სახელმწიფომ გაუცვალა სოფელ ქვემო ლისში მდებარე 8000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში.

20 000 მ2 მიწის სხვაობის სანაცვლოდ სახელმწიფომ პაატა პაპავაძეს 43 495 ლარის დამატება მოსთხოვა. განკარგულებაში მითითებული იყო ორივე მიწის საკადასტრო კოდი. 28 000 მ2 ფართის მიწის კოდი ემთხვეოდა იმ პაატა პაპავაძის მიწის კოდს, რომელმაც შემდეგ ამ მიწის ნაწილი იორკ თაუერსს მიჰყიდა. პრემიერმინისტრის განკარგულების შინაარსი უცნაური და საეჭვო ჩანდა, რადგან მასში არ იყო ახსნილი, თუ რატომ გადაწყვიტა სახელმწიფომ მოქალაქის კუთვნილ 8 000 მ2 სასოფლო სამეურნეო მიწაში, სადაც მშენებლობა ნებადართული არ არის, გაეცვალა 20 000 კვადრატული მეტრით მეტი არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელზეც მშენებლობა დაშვებულია. განკარგულებაში არ იყო ახსნილი, თუ რაში სჭირდებოდა სახელმწიფოს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საკუთრებაში მისაღებად. საეჭვო იყო სხვაობისათვის გადასახდელი თანხაც.

გამოდიოდა, რომ სახელმწიფომ პრესტიჟულ შემოგარენში მდებარე მიწა გაცილებით იაფად შეაფასა,

ხოლო მოქალაქის სასოფლო-სამეურნეო მიწა ძვირად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მანამდე ეს 28 000 კვადრატული მეტრის მიწა, 4 ნაწილად იყო დაყოფილი. 2019 წლის 27 ივნისს სახელმწიფომ ეს 4 ნაკვეთი გააერთიანა და 28 000 კვადრატული მეტრის მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში დაირეგისტრირა. პრემიერმინისტრის განკარგულება კი აქედან 1 თვეში, 29 ივლისს გამოიცა. სახელმწიფოსგან მიწის მიღებიდან მალევე პაატა პაპავაძემ ქონების დიდი ნაწილი იორკ თაუერსს მიჰყიდა, მაშინ როცა კომპანიის მეწილე ემზარ ივანიშვილი იყო. პაატა პაპავაძის პირადი ნომერი უძრავი ქონების რეესტრში მოვძებნე და აღმოვაჩინე, რომ მას მხოლოდ ერთი სახლი და მიწა ჰქონდა სოფელ ლისში, არაფერი სხვა ქონება ან ბიზნეს კომპანია მას არ ჰქონია. ეს ბოლო ინფორმაცია ბიზნეს რეესტრში და შემდეგ კომპანი ინფოს საიტზე გადავამოწმე.

გაჩნდა ჰიპოთეზა, რომ პაატა პაპავაძე უბრალოდ თვალის ასახვევად შერჩეული ადამიანი იყო, რომლის თხოვნითაც პრემიერი განკარგულებას არ გამოსცემდა და სახელმწიფო მიწას არ გაუცვლიდა, მით უმეტეს ლისზე, სადაც ინვესტორების მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდია, პაატა პაპავაძეს კი სახელმწიფოსთვის საინტერესო პროექტის შეთავაზება და განხორცილება აშკარად არ შეეძლო. ასევე საეჭვო იყო, თუ რამდენად რელევანტურად შეაფასა სახელმწიფომ პაპავაძის სოფლის მიწა და პრესტიჟულ ადგილას მდებარე სახელმწიფოს მიწა.

მეორე დღეს ღვინის წარმოებასა და რთვლის სუბსიდირების შესახებ გამოძიება გავაგრძელე, თუმცა, თან ახალი თემის დამუშავებაც დავიწყე. უპირველეს ყოვლისა, საჯარო რეესტრიდან გამოვითხოვე ინფორმაცია, თუ რა ფასად მიჰყიდა იორკ თაუერსს მიწა პაატა პაპავაძემ და ასევე, რამდენ ლარად შეაფასა სახელმწიფომ პაატა პაპავაძისა და თავისი მიწები. აღმოჩნდა, რომ სამხარაულის ბიურომ, პაატა პაპავაძის სოფელ ქვემო ლისში მდებარე 8 000 მ2 460 505 ლარად, ანუ კვადრატული 57 ლარზე მეტად შეაფასა, ხოლო სახელმწიფოს კუთვნილი 28 000 მ2 - 504 000 ლარად, ანუ კვადრატული 18 ლარად.

სახელმწიფოსგან გადაცემული მიწა რუკაზე მოვძებნე და აღმოჩნდა შემაღლებულ ადგილას შეფენილი, ლისის ტბისა და ქალაქის ხედებიანი ფართობი. იმ დროისათვის პაატა პაპავაძეს ამ მიწის ნახევარი, 14 000 მ2იორკ თაუერსისათვის მილიონ დოლარად, ანუ 1 კვადრატული მეტრი 71 დოლარზე მეტად ჰქონდა გაყიდული. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ კვადრატული მეტრის

18 ლარად შეფასება, არარეალური იყო. ამ დოკუმენტების მიღებით დავრწმუნდი, რომ სხვა გამოძიების ფარგლებში, ნახევარ საათში მოძიებული ინფორმაციიდან, ახალი ჟურნალისტური გამოძიების თემა მქონდა. იმავე დღეს ჩემ მიერ მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით დავწერე ჟურნალისტური გამოძიების იდეა, რომელსაც ვუზიარებთ "სტუდია მონიტორის" რედაქტორებს. მათ ჩათვალეს, რომ ეს იყო საინტერესო თემა და მეც ძიება გავაგრძელე. ძიების დაწყებისას, სანამ ჯერ არ ვიცი არის თუ არა ეს ჟურნალისტური გამოძიების თემა, ვქმნი გუგლ დოკს და იქ შემაქვს ჩემ მიერ მოძიებული ყველა ინფორმაცია, ადამიანის სახელი და გვარი, მისი პირადი ნომერი, მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება - ამ ქონებების მისამართები და საკადასტრო მონაცემები, ბიზნეს კომპანიების საიდენტიფიკაციო მონაცემები და როდის შევიდა ჩემთვის საინტერესო ადამიანი ამ კომპანიაში.

როდესაც უკვე გამოძიებაზე ვიწყებ მუშაობას, ვქმნი გუგლ ფოლდერს, სადაც ყველა საინტერესო პირზე ინფორმაციას ცალ-ცალე დოკში ვწერ. პაატა პაპავაძეზე ინფორმაციის მოძიების დასრულების შემდეგ ემზარ ივანიშვილს დავუბრუნდი. ამოვიწერე ყველაფერი: მისი პირადი ნომერი, მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, მისი ბიზნესკომპანიებში მონაწილეობა.

ემზარ ივანიშვილის სხვა კომპანიაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციისთვის ისევ companyinfo.ge-ს ვებგვერდზე შევედი და ვნახე, რომ სხვა კომპანიაში ის მეწილე არ ყოფილა, მხოლოდ იორკ თაუერსში იყო, იმ პერიოდში, როცა პაპავაძემ სახელმწიფოსგან მიწა მიიღო და შემდეგ იორკ თაუერსს მიჰყიდა. ამის შემდეგ, მის ოჯახის წევრებზე დავიწყე ინფორმაციის მოძიება და ამისათვის საარჩევნო კომისიის ვეგბგვერდზე ვნახე, ვინ არის დარეგისტრირებული მის კუთვნილ სახლში. ასე გავარკვიე ინფორმაცია მისი ცოლისა და შვილების შესახებ. ცოლის სახელისა და გვარის უძრავი ქონების რეესტრში ჩაწერის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ პაატა პაპავაძის მიერ სახელმწიფოსგან მიღებული მიწიდან ნაწილი, 1 000 მ2 ემზარ ივანიშვილის ცოლის სახელზე იყო რეგისტრირებული. ამონაწერის მიხედვით, ემზარ ივანიშვილის ცოლმა ეს ნაკვეთი პაატა პაპავაძისგან იყიდა.

ემზარ ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების ქონებისა და ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიების შემდეგ, იორკ თაუერსის კვლევა დავიწყე. კომპანია ეგვიპტელმა ბიზნესმენმა დააფუძნა. შეისყიდა მიწა ტაბახმელაში, დუშეთსა და სხვა ადგილებში. თბილისის შემადგენლობაში შემავალი მიწის

საკადასტრო კოდით შესაძლებელია იმის გაგება, თუ როდის გაიცა მშენებლობის ნებართვა, როგორ პროექტზე გაიცა, რა ცვლილებები შევიდა პროექტში, ხომ არ დაჯარიმდა მშენებელი კომპანია მშენებლობის პროცესში და ასე შემდეგ. ამისათვის მიწის საკადასტრო კოდი Tbilisi.maps.gov.ge-ზე უნდა შეიყვანო. ასე ვნახე, რომ იორკ თაუერსი ტაბახმელაში მიწის ყიდვიდან 2 წლის განმავლობაში ვერ იღებდა მშენებლობაზე თანხმობას. იორკ თაუერსის მეწილე ემზარ ივანიშვილი, გრიგოლ ხურციძესთან ერთად გახდა. ამ ორმა ასევე ერთად დატოვა კომპანიის მეწილეობა. მას შემდეგ, რაც ისინი კომპანიის მეწილეები გახდნენ, იორკ თაუერსმა მალევე მოიპოვა ტაბახმელაში მშენებლობის ნებართვა. მოთხოვნა პირადად გრიგოლ ხურციძემ გააგზავნა. ამიტომ გრიგოლ ხურციძის ფოლდერი გავაკეთე და მისი მოკვლევაც დავიწყე. გრიგოლ ხურციძის პირადი ნომერი companyinfo.ge-ზე იორკ თაუერსის ამონაწერში იყო, იქ, სადაც ემზარ ივანიშვილისა და ეგვიპტელი დამფუძნებლის. პირველ რიგში, ხურციძის პირადი ნომრით, საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გადავამოწმე მისი საცხოვრებელი ადგილი და მისი ფოტო, რათა მცოდნოდა როგორ გამოიყურება ის. პირის სარეგისტრაციო ადგილის მოძენის შემდეგ, შესაძლებელია, ნახო კიდევ ვინ არის ჩაწერილი ამავე მისამართზე, როგორც წესი ესენი არიან ოჯახის წევრები. ასე გავიგე მისი ცოლისა და შვილის სახელები, გვარები და დაბადების თარიღები.

იმისათვის, რომ გამეგო, რამდენად ახლო ურთიერთობა აქვთ ემზარ ივანიშვილსა და გრიგოლ ხურციძეს გადავწყვიტე, მათი სოციალური ქსელები მომეძებნა. თუმცა, გრიგოლ ხურციძე მისი სახელითა და გვარით ვერ ვიპოვე, ემზარ ივანიშვილს კი დახურული ჰქონდა ფეისბუქის გვერდი. ამიტომ, მათი ცოლების ფეისბუქ-გვერდების ძიება დავიწყე. ასე ვიპოვე ფეისბუქზე გრიგოლ ხურციძის ცოლის გვერდი, სადაც ემზარ ივანიშვილთან და მის ოჯახთან გადაღებული არაერთი ფოტო ჰქონდა გამოქვყენებული.

ცხადი გახდა, რომ ისინი ოჯახებით ახლობლობენ და დღესასწაულებსაც ხშირად ატარებენ ერთად. ასევე მის ფეისბუქზე ვნახე მისი შვილისა და რძლის ფოტოები. მათ შესახებ ინფორმაცია გრიგოლ ხურციძის ფაილში გადავიტანე. დავიწყე გრიგოლ ხურციძის ბიზნეს-საქმიანობის კვლევა. მას რამდენიმე კომპანიაში ჰქონდა წილი, თუმცა საინტერესო არაფერი ჩანდა ამ კომპანიებში. მისი პირადი ნომერი უძრავი ქონების რეესტრში ჩავწერე, რათა მენახა, რა ქონებას ფლობდა ის და ვნახე, რომ ლისის

ტბაზე, იქ, სადაც პაატა პაპავაძეს სახელმწიფომ მიწა გადასცა, მცირე ნაწილი 1 000 კვ.მ მასაც ჰქონდა საკუთრებაში დარეგისტრირებული, ისევე, როგორც ემზარ ივანიშვილის ცოლს. უძრავი ქონების რეესტრში პირის პირადი ნომრის ჩაწერისას, გარდა საკუთრებისა, აგდებს ყველა იმ განცხადებას, რომელიც მან საჯარო რეესტრში, უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის წარადგინა, თუნდაც ამ ქონებას პირი სხვის სახელზე არეგისტრირებდეს. ასე ამოვარდა გრიგოლ ხურციძის სახელზე განცხადება - ის 2017 წელს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში დიღომში 1 141 კვ.მ. მიწის ფართის დაკანონებას ითხოვდა სხვა პირის სახელზე. ამონაწერში კი ჩანდა, რომ ეს მიწა ვერა ჩორგოლიანის სახელზე დარეგისტრირდა - უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად კი მითითებული იყო თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გაცემული მოწმობა. ეს კომისია კი თბილისის საკრებულოსთან არსებული კომისიაა. მიწის უფლების წარმოშობიდან გამომდინარე, დავინტერესდი, თუ რატომ ითხოვდა გრიგოლ ხურციძე ამ მიწის კერძო პირისთვის დაკანონებას და რა ხდებოდა ამ მიწაზე. ამიტომ მიწის საკადასტრო კოდით მოვძებნე უძრავი ქონების რეესტრში, რათა გამეგო შემდეგ რა მოხდა ამ მიწაზე და აღმოვაჩინე, რომ ვერა ჩორგოლიანის სახელზე რეგისტრაციიდან ერთ კვირაში მიწა 4 ნაწილად გაიყო, ნაწილი ვერას სახელზე დარჩა, ნაწილი კი 3 სხვა პირზე გაფორმდა. მათ შორის იყვნენ გრიგოლ ხურციძის რძალი, საკრებულოს მიწის აღიარების კომისიის სამდივნოს ყოფილი ხელმძღვანელის ძმა და გრიგოლ ხურციძის მეზობელი.

ისევ გავყევი მიწის ისტორიას და აღმოვაჩინე, რომ აქედან 20 დღეში მიწა უკვე კერძო კომპანია არქიპლიუსს ეკუთვნოდა. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით ბიზნეს რეესტრში მოვძებნე მისი მფლობელები, რომელთა შორის აღმოჩნდა გიორგი ხურციძე, გრიგოლ ხურციძის შვილი. ამ დროს, გრიგოლ ხურციძის ცოლის სოციალური ქსელიდან, უკვე ვიცი, რომ მათ შვილს გიორგი ხურციძე ჰქვია, ასევე ვიცი, რომ ის მათთან ერთადაა ჩაწერილი და ისიც, თუ როგორ გამოიყურება. მაინც ვამოწმებ საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე და დასტურდება, რომ ამავე მისამართზე არიან ჩაწერილი გრიგოლ ხურციძე და მისი ცოლი ხათუნა ხურციძე. მიწის ისტორიის კვლევა გავაგრძელე, თბილისის მერიის რუკაზე - tbilisi.maps.gov.ge - ზე შევედი და რუკის განყოფილებაში გადავედი, სადაც საკადასტრო კოდით მიწის ადგილმდებარეობა ვნახე. ეს კორპუსებს შორის არსებული

სივრცე იყო, რომელზეც მშენებლობა დაწყებულიყო. წარდგენილი იყო ორი მაღალსართულიანი კორპუსის არქიპლიუსის პროექტი, რომელზეც თბილისის მერიას უკვე თანხმობა ჰქონდა გაცემული. მიწის უფლების წარმოშობის ისტორია, რომ ის თვითნებურად იყო დაკავებული და შემდეგ კომისიამ აღიარა, ინტერესს იწვევდა.

თბილისის საკრებულოდან გამოვითხოვე დოკუმენტი, თუ რის საფუძველზე აღიარა კომისიამ ეს მიწა ვერა ჩორგოლიანის საკუთრებად. რედაქციაში მოვიკითხე და გავიგე, რომ სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, მიწაზე, რომელიც 2007 წლამდე ჰქონდა მოქალაქეს დაკავებული, შემოსაზღვრული და იქ ეწეოდა მეურნობას ან ცხოვრობდა, შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს და მისი საკუთრებაში აღიარება მოითხოვოს. დავუკავშირდი არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობის" იურისტს, რომელიც ასეთ საკითხებზე მუშაობს. მან განმიმარტა, რომ მოქალაქემ უნდა დაადასტუროს რომ 2007 წლამდე უკვე ცხოვრობდა, ან იყენებდა ამ მიწას და ასევე უნდა დაადასტუროს რომ სახელმწიფოსთვის მიმართვამდე უწყვეტად გააგრძელა ცხოვრება/გამოყენება. გამოდიოდა, რომ ვერა ჩორგოლიანს აღნიშნულ მიწაზე 2007 წლამდე უნდა დაეწყო ცხოვრება და 2017 წლამდე უწტვეტად უნდა ეცხოვრა. საკრებულოდან მხოლოდ აღიარების მოწმობა მოვიდა, თუ რის საფუძველზე გადასცა საკუთრებაში, ეს დოკუმენტები არ გამოუგზავნიათ. იგივე ინფორმაცია გამოვითხოვე თბილისის მერიიდან, რადგან საბოლოოდ ყველა ასეთი დოკუმენტი დედაქალაქის მთავრობაში იყრის თავს.

დოკუმენტები მერიიდან არ გამოგვიგზავნეს, მხოლოდ ის მოგვწერეს, რომ კომისიამ ვერა ჩორგოლიანს მიწა საკუთრებაში უღიარა წარმოდგენილი ფოტოს საფუძველზე, საიდანაც დგინდებოდა რომ ამ ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა იყო 2007 წლამდე. მას შემდეგ იყენებდა თუ არა მიწას, ან საცხოვრებელს ვერა ჩორგოლიანი და წარადგინა თუ არა შესაბამისი დოკუმენტაცია, მერიამ არ გვიპასუხა.

კანონი, რომელიც თვითნებურად დაკავებული მიწის აღიარებას გულისხმობს 2007 წელს იქნა მიღებული. რადგან ვერა ჩორგოლიანს 2007 წლიდან 2017 წლამდე არ მიუმართავს სახელმწიფოსთვის მიწის აღიარების მოთხოვნით, გამიჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა ის ამ მიწაზე აღარ ცხოვრობდა და სახელმწიფოსთვის მიმართვა არა მისი, არამედ გრიგოლ ხურციძის იდეა იყო, რომელიც იქვე მდებარე კორპუსში ცხოვრობდა და რომელმაც იცოდა, რომ ვერა წლების წინ ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე. ამ ეჭვს ამყარებდა ისიც, რომ ვერა

ჩორგოლიანის სახელზე დარეგისტრირებიდან მალევე მიწა ჯერ ხურციძესთან დაკავშირებულ პირებზე დარეგისტრირდა, შემდეგ კი მისი შვილის კომპანიის საკუთრება გახდა, ჩანდა, რომ ეს წინასწარ მოფიქრებული გეგმა იყო. ამასთანავე სახელმწიფომ ვერას დაუმტკიცა 1 100 კვ.მ, ხოლო ამ მიწაზე არსებული საცხოვრებელი ფართი 23 კვ.მ იყო. ამიტომ დავიწყე ვერა ჩორგოლიანის გამოკვლევა, მისი პირადი ნომრით დავადგინე რომ ის ქუთაისშია ჩაწერილი. მოვძებნე მისი ფეისბუქი და ვნახე რომ წლებია ქუთაისში ცხოვრობს. 2017 წლამდე უკვე ქუთაისში ცხოვრობდა, ამას მოწმობდა მისი გამოქვეყნებული ფოტოები. ვერა ჩორგოლიანის დიღომში ცხოვრების ისტორიის გასაგებად ადგილზე, დიღომში წავედი, რათა იქაური მაცხოვრებლებისათვის მეკითხა მის შესახებ. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არქიპლიუსის მშენებლობა მიმდინარეობდა, უკან კი ძველი ავარიული კორპუსი დგას. კორპუსს გარედანაც ეტყობოდა ნახეთქები და ბზარები. კორპუსთან მივედი, რათა იქაური მეზობლებისთვის მეკითხა ცხოვრობდა თუ არა ბოლო წლებში ვერა ჩორგოლიანი ამ მიწაზე.

კორპუსში შევედი, შიგნიდან კიდევ უფრო მძიმე სანახავი აღმოჩნდა, ძველი, დაზიანებული სადარბაზო, დაბზარული კედლებით, საერთო საცხოვრებლის ტიპის კორპუსში 20 კვადრატული მეტრის ფართის ბინები იყო. ადგილობრივმა მცხოვრებმა მითხრა, რომ ვერა ბევრი წლის წინ შვილებთან ერთად ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე, რომელზეც ე.წ. ბოილერი იყო და იქვე ჰქონდა მიშენებული საცხოვრებელი ოთახი.

ასევე გავესაუბრე სხვა მაცხოვრებლებს, მათაც დამიდასტურეს, რომ რომ ვერა წლების წინ, დედასთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა იქ, თუმცა უკვე მრავალი წელია იქ აღარ ცხოვრობს. ამის შემდეგ ვკითხე მათ კორპუსთან ძალიან ახლოს, რამდენიმე მეტრში მშენებლობაზე რას ფიქრობდნენ, რაზეც მიპასუხეს რომ ძალიან შეწუხებულები არიან, რადგან მათი საცხოვრებელი ისედაც ინგრევა და ამის შესახებ სამხარაულის ეროვნული ბიუროს დასკვნაც არის მომზადებული და ასე ახლოს მშენებლობის ეშინიათ. ისინი დახმარებას მერიას სთხოვენ.

მე ვკითხე, თუ ჰქონდათ დასკვნა და მათ მანახეს დოკუმენტი, რომელშიც კორპუსის უმძიმესი მდგომარეობა იყო აღწერილი. სამხარაულის ექსპერტი წერდა, რომ კო-რპუსის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, შენობის საყრდენ სვეტებს ამოწურული აქვს ზიდვის უნა-

რი, საცხოვრებელი ფართები არ აკმაყოფილებს ნორმებს. ამ დასკვნის საფუძველზე მაცხოვრებლები მერიას სთხოვდნენ, რომ კორპუსი გაემაგრებინა. მერიამ კი ასეთი ავარიული სახლიდან 6 მეტრში 2 მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვა გასცა. მათი ნებართვით დასკვნას ფოტოები გადავუღე.

ამ კორპუსში სტრუმრობისას გავიარე ასევე იმ ადგილას, სადა ეს მიწა იყო და ახლა აქტიური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. იქვე იყო არქიპლიუსის ოფისი, სადაც გრიგოლ ხურციძე ტრიალებდა და ჩანდა, რომ რეალურად ამ კომპანიას ის მართავს. დიღომში მშენებლობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ ვერა ჩორგოლიანს მიწა სახელმწიფომ საეჭვო გარემოებებში დაურეგისტრირა, მაშინ როდესაც ის იქ აღარ ცხოვრობდა. ამ მიწაზე კი მალევე გაიცა 2 მაღალსართულიანი კორპუსის მშენშღჭებლობის ნებართვა კომპანიაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილის, ემზარ ივანიშვილის ახლო მეგობარს უკავშირდებოდა. ამასთანავე მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, ავარიული კორპუსიდან 6 მეტრში ხორციელდებოდა, რაც მოსახლეობას შიშს უჩენდა, რომ სამუშაო ბიძგები მათ, ისედაც დაზიანებულ, საცხოვრებელზე უარყოფითად იმოქმედებდა.

ყველა ეს მოძიებული ინფორმაცია, დეტალურად აღვწერე დოკუმენტში. ამის საფუძველზე დავწერე ჟურნალისტური გამოძიების გეგმა, სადაც გაწერილი იყო, რა უნდა გადაგვეღო, რადგან „სტუდია მონიტორი“ ვიდეო რეპორტაჟებს აკეთებს, ჩასაწერი რესპონდენტების სია, მათ შორის ჯერ ვინ უნდა ჩაგვეწერა, რა უნდა გვეკითხა თითოეულისათვის.

რესპონდენტების რიგითობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან ერთი რესპონდენტის ჩაწერამ ხელი არ შეუშალოს სხვა რესპონდენტის ჩაწერას. რესპონდენტების სია ასე გამოიყურებოდა: ვერა ჩორგოლიანი, რომელიც ჩვენს სიაში პირველი რესპონდენტი იყო მოპოვებული მტკიცებულებებით, ერთი მხრივ მეზობლების ინფორმაციით და მეორე მხრივ, თავად მისი გამოქვეყნებული ფოტოებით დგინდებოდა, რომ ის დიდი ხანია ქუთაისში ცხოვრობდა. ჩვენი კითხვები იყო, როგორ დაუმტკიცა საკრებულომ მიწა მაშინ, როდესაც ის უკვე ქუთაისში ცხოვრობდა, როგორ მოახერხა რომ 23 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე 1 100 კვ.მ დაუმტკიცეს და რა კავშირი ჰქონდა მას გრიგოლ ხურციძესთან, რომელმაც საბოლოოდ ეს მიწა ჩაიგდო ხელში.

ვერა ჩორგოლიანის ჩასაწერად ქუთაისში, მის სახლში წავედით, მან დაადასტურა, რომ წლებია ქუ-

თაისში ცხოვრობს. კითხვაზე როგორ მოახერხა თბილისში მიწის დარეგისტრირება, გვიპასუხა, რომ ქუთაისში ცხოვრების პარალელურად ის თბილისშიც ცხოვრობდა, თუ როგორ ცხოვრობდა ორ ადგილას ერთდროულად მან ვერ ახსნა. ის ასევე უარყოფდა თავიდან, რომ რეესტრში მიწა მის სახელზე გრიგოლ ხურციძემ დაარეგისტრირა, მას შემდეგ, რაც დოკუმენტი ვაჩვენეთ თქვა, რომ ხურციძე მისი წარმომადგენელი იყო და მას შემდეგ, რაც საკრებულომ მიწა დაუმტკიცა, დოკუმენტები რეესტრში გრიგოლ ხურციძემ წარადგინა.

ამის შემდეგ, ჩვენ, გრიგოლ ხურციძე, მშენებლობის წინ მდებარე კომპანიის ოფისის წინ ჩავწერეთ. მან დაადასტურა, რომ შვილის სახელზე რეგისტრირებული კომპანიის უკან ის დგას. თავიდან ისიც უარყოფდა, რომ ვერა ჩორგოლიანის სახელზე მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე დოკუმენტი მან მიიტანა, თუმცა, დოკუმენტის ჩვენების შემდეგ დაადასტურა, რომ ასე იყო. მან ასევე აღიარა, რომ ამ მიწაზე კორპუსების მშენებლობა უნდოდა და ვერა ჩორგოლიანს სთხოვა მიწა დაერეგისტრირებინა. მან ასევე დაადასტურა საკრებულოს ყოფილი თანამშრომლის გიორგი ჩარაულის ძმასთან, პაატა ჩარაულთან ნაცნობობა. ჩვენ მას ვკითხეთ, როგორ მოიპოვა ავარიული კოპრუსიდან 6 მეტრში მშენებლობის ნებართვა, რაზეც გვიპასუხა, რომ ექსპერტის დასკვნით ეს მშენებლობა ავარიულ კორპუსზე ზეგავლენას არ მოახდენდა.

Tbilisi.maps.gov.ge-ზე ასევე ატვირთულია ექსპერტების დასკვნები, რა უპასუხა არქიტექტურის სამსახურმა, დამატებით რა დოკუმენტები მოითხოვა და ა.შ. ამ საიტზე აღნიშნული მშენებლობის შესახებ მომზადებული კერძო ექსპერტის დასკვნა ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ თბილისის მერიაში გრიგოლ ხურციძემ სამხარაულის დასკვნა, 6 მეტრში მდებარე ავარიული კორპუსის შესახებ არ წარადგინა, არამედ კერძო ექსპერტს დაუკვეთა დასკვნა. დასკვნაშივე იყო მითითებული ექსპერტის საკონტაქტო ინფორმაცია და ჩვენ მასთან დავრეკეთ.

ავტორმა გვითხრა, რომ დასკვნა დაიწერა ავარიული და მშენებარე კორპუსების საძირკვლების ურთიერთგავლენაზე, ახალი მშენებლობის სავარაუდო ზეგავლენა კი არ შეუსწავლია, რადგან ეს არ მოუთხოვია დამკვეთს. მანვე გვითხრა, რომ ავარიულ სახლზე ვიბრაციამ შეიძლება იმოქმედოს, მაგრამ ეს დამატებითი კვლევით უნდა გამოვლენილიყო, რაც არც დამკვეთმა მოითხოვა და არც თბილისის მერიამ.

ამის შემდეგ ჩვენ ემზარ ივანიშვილი საცხოვრებელ სახლთან ჩავწერეთ, პაატა პაპავაძეს კი მის კუთვნილ სახლში მივაკითხეთ. აღმოჩნდა, რომ ის სოფელში, ძველ, ნახევრად დაუსრულებელ სახლში ცხოვრობს და არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ მან ცოტა ხნის წინ მილიონ დოლარად მიწა გაყიდა. ჩვენ ასევე ჩავწერეთ საერთაშორისო გამჭვირვალობის იურისტი, რომელმაც მიწის აღიარების შესახებ მოგვცა კომენტარი.

ფილმს დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში. ის ასევე მოხვდა საერთაშორისო გამჭვირვალობის სიაში, მაღალი კორიფციული რისკის მქონე საქმეები, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს, თუმცა, ამ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

სავარჯიშოები:

• მოიძიეთ თქვენთვის საინტერესო თანამდებობის პირის დეკლარაცია.

ა. გადაამოწმეთ მისი და ოჯახის წევრების უძრავი ქონებების სია, ემთხვევა თუ არა საჯარო რეესტრში მათ სახელზე დარეგისტრირებულე ქონებებს;

ბ. გადაამოწმეთ, ემთხვევა თუ არა შეძენის ღირებულება, საჯარო რეესტრში მითითებულ თანხას. ემთხვევა თუ არა შეძენის თარიღი;

გ. გაარკვიეთ, დეკლარაციის მიხედვით ეკუთვნის თუ არა თანამდებობის პირს, ან მისი ოჯახის წევრს წილი კომპანიაში და გადაამოწმეთ ეს მონაცემები ემთხვევა თუ არა ბიზნესის რეესტრის მონაცემებს.

• ამოირჩიეთ თბილისში, მიმდინარე მშენებლობა, რომელიც არ გაშუქებულა მედიით.

ა. გაარკვიეთ, ამ ტერიტორიის საკადასტრო კოდი;

ბ. ვის ეკუთვნის მიწა;

გ. ვინ ახორციელებს მშენებლობას;

დ. რა პროექტი აქვს მშენებელ კომპანიას მერიასთან შეთანხმებული;

ე. მოიძიეთ, მიწის მფლობელი კომპანიის შესახებ მონაცემები, ვინ არის კომპანიის დირექტორი და მეწილეები.